წელიწადი მეცამეტე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და თბ. კომიტეტების და საქ. ცაკის ორგანო

ტელეფონები [illegible] —14—98, [illegible] —36—27, [illegible] 10—58, მთ. კონტორის—3—31.

პარასკევი
20
ოქტომბერი
1933 წ.
№ 242 (3798)

სახელმწიფოსათვის ხორცის სავალდებულო ჩაბარების კანონის განხორციელების შესახებ

საქართველოს სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცკას დადგენილება

„1934 წელს სახელმწიფოსათვის ხორცის სავალდებულო ჩაბარების შესახებ" გამოცემული სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1933 წ. აგვისტოს 28-ის დადგენილებისა (სსრკ კან. კრ. 1933 წ. 55 №-ი, მუხ. 323) და ამ კანონის განსავითარებლად გამოცემული ა.-კ. სფსრ სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის 1933 წ. სექტემბრის 11-ის დადგენილების („ზარია ვოსტოკა"-ს 236 №-ი 1933 წ. სექტემბრის 12-სა), შესაბამისად — საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. დაწესებულ იქნეს 1934 წელს (იანვრის 1-დან დეკემბრის 1-მდე) საქართველოს სსრ რაიონებისათვის და აფხაზეთის ავტ. სსრ-ისა, აჭარისტანის ავტ. სსრ-სა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისათვის შემდეგი მტკიცე — საქართველოს სსრ რაიონების ხაზით და საშუალო-ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ხაზით—ნორმები სახელმწიფოსათვის ხორცის სავალდებულო, გადასახადის ძალის მქონე, ჩაბარებისა, არსებული სახელმწიფო ფასების მიხედვით, ცალკე საკოლმეურნეო კომლებზე იმ კოლექტიურ მეურნეობებში, რომელთაც არა აქვთ მეცხოველეობის სასაქონლო ფერმები, ცალკე საკოლმეურნეო კომლებზე იმ კოლექტიურ მეურნეობებში, რომელთაც აქვთ მეცხოველეობის სასაქონლო ფერმები და ცალკე ერთპიროვნული საგლეხო მეურნეობებზე.

რაიონების დასახელება	საკოლმეურნეო კომლებისათვის იმ კოლექტიურ მეურნეობებში, რომელთაც არა აქვთ მეცხოველეობის სასაქონლო ფერმები	საკოლმეურნეო კომლებისათვის იმ კოლექტიურ მეურნეობებში, რომელთაც აქვთ მეცხოველეობის სასაქონლო ფერმები	ერთპიროვნული საგლეხო მეურნეობებისათვის
I. ჯგუფი	28	17	45
ახალქალაქის რაიონი			
ყარაიას რაიონი			
ბოგდანოვკის რაიონი			
წალკის რაიონი			
ასპინძის რაიონი			
ალბულაღ-მანგლისის რაიონი			
ბაშკიჩეთის რაიონი			
ლუქსემბურგის რაიონი			
ახალციხის რაიონი			
ბორჩალოს რაიონი			
ხევის რაიონი			
ადიგენის რაიონი			
II. ჯგუფი:	23	13	36
სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქი			
ბორჯომის რაიონი			
დუშეთის რაიონი			
ერწო-თიანეთის რაიონი			
ტფილისის რაიონი			
წალენჯიხის რაიონი			
სიღნაღის რაიონი			
III. ჯგუფი:	21	11	33
აფხაზეთის ავტ. სსრ.			
აჭარისტანის ავტ. ს. ს. რ.			
ჩხოროწყუს რაიონი			
ზუგდიდის რაიონი			
თელავის რაიონი			
ხობის რაიონი			
გარე-კახეთის რაიონი			
ლაგოდეხის რაიონი			
IV. ჯგუფი	18	7	28
ყვარელის რაიონი			
ხარაგოულის რაიონი			
ცაგერის რაიონი			
ამბროლაურის რაიონი			
გორის რაიონი	16	9	28
სტალინისის რაიონი			
სამტრედიის რაიონი			
მარტვილის რაიონი			
ლანჩხუთის რაიონი			
სენაკის რაიონი			
აბაშის რაიონი			
ჭიათურის რაიონი			
ხონის რაიონი			
ჩოლურის რაიონი			
V. ჯგუფი:	16	8	25
კასპის რაიონი			
ქუთაისის რაიონი			
ოზურგეთის რაიონი			
ბაღდათის რაიონი			
ოკრიბის რაიონი			
ჩოხატაურის რაიონი			
გურჯაანის რაიონი			
ონის რაიონი			
ზესტაფონის რაიონი			
ვანის რაიონი			
ჩხარის რაიონი			
ფოთის რაიონი			

2. დაწესებულ იქნეს შემდეგი საკალენდარო ვადები ერთპიროვნული მეურნეობების და საკოლმეურნეო კომლების მიერ სახელმწიფოსათვის ხორცის ჩაბარებისათვის რესპუბლიკებში და ოლქებში წლიური გეგმის პროცენტებით:

1-ლ კვარტალში	მე-2 კვარტალში	მე-3 კვარტალში	მე-4 კვარტალში
35 %	10 %	20 %	35 %

3. კოლექტიური მეურნეობის მეცხოველეობის სასაქონლო ფერმებზე და განსაზოგადოებულ ნახირზე დაწესებულ იქნეს სახელმწიფოსათვის ხორცის სავალდებულო, გადასახადის ძალის მქონე, ჩაბარების შემდეგი ნორმები ცოცხალი წონით კილოგრამებით: მსხვილფეხა რქოსან საქონელზე — 26 კილოგრ. თვითეულ ძროხასა და უშობელზე, ცხვარზე — 8 კილოგრ. თვითეულ დედა-ცხვარზე და სადედე ბატკანზე, ღორზე — 80 კილოგრ. თვითეულ დედა-ღორზე.

ჩასაბარებელი ხორცის რაოდენობა განისაზღვრება 1933 წლის სექტემბრის 1-თვის არსებული ოთხფეხი საქონლის მიხედვით. საკოლმეურნეო ფერმაში ჩასაბარებელი ხორციული პროდუქციის გამოანგარიშების დროს სათვალავში არ მიიღება სადგიშე საქონელი, რაც შეტანილია სადგიშე დავთარში (ჩანაწერი).

4. დაწესებულ იქნეს შემდეგი საკალენდარო ვადები თვითეული კოლექტიური მეურნეობის მიერ სახელმწიფოსათვის ხორცის ჩაბარების წლიური ვალდებულების შესრულებისათვის (წლიური ნორმის პროცენტობით):

მსხვილფეხა რქოსანი	1-ლ კვარტალში	მე-2 კვარტალში	მე-3 კვარტალში	მე 4 კვარტ.
საქონელი . .	35%	10%	25%	%
ღორი . .	30%	15 %	20%	35%
ცხვარი . .	25%	—	35%	40%

5. წინადადება მიეცეს აფხაზეთის ავტ. სსრ-ისა, აჭარისტანის სსრ-სა და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს — დააწესონ, 1-ლ და მე-3 მუხლებში გათვალისწინებული ნორმების მიხედვით, ხორცის ჩაბარების სხვადასხვა (დიფერენცირებული) ნორმები ცალკეული რაიონებისათვის და უზრუნველყონ წლიური გეგმის უცილობელი აღსრულება რესპუბლიკებსა და ოლქში; თანაც გამოაქვეყნონ დადგენილი ნორმები არა უგვიანეს 1933 წ. ოქტომბრის 20-სა.

6. კატეგორიულად აეკრძალოთ ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს სახელმწიფოსათვის ხორცის ჩაბარების რაიონობითი ნორმების შეცვლა, რაც დაწესებულია საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმებისა, კოლექტიური მეურნეობების განსაზოგადოებული ნახირისა, საკოლმეურნეო კომლებისა და ერთპიროვნული მეურნეობებისათვის.

7. დაწესებულ იქნეს, რომ საკოლმეურნეო კომლებს და ერთპიროვნულ მეურნეობებს შეუძლიათ შეასრულონ თავიანთი ვალდებულებანი სახელმწიფოსათვის ხორცის ჩაბარებისა ყოველგვარი სახის ოთხფეხი საქონლის და ფრინველის ჩაბარებით, ხოლო ბოცვერებისაც ცოცხალისა; ამასთანავე, ჩამბარებლებს ნებადართულია ხორცის ჩაბარების ვალდებულების ერთად შესრულებისათვის ჯგუფებად გაერთიანდენ.

კოლექტიურ მეურნეობებს შეუძლიათ შეასრულონ თავიანთი ვალდებულებანი ყოველგვარი სახის ოთხფეხი საქონლის ჩაბარებით, ხოლო ღორი ჩაბარებულ უნდა იქნეს დადგენილი ნორმების მიხედვით სხვა საქონელზე შეუცვლელად.

8. იმ კოლექტიურ მეურნეობას, საკოლმეურნეო კომლს და ერთპიროვნულ მეურნეობას, რომელიც არ შეასრულებს დადგენილ ვადაზე თავის ვალდებულებას სახელმწიფოსათვის ხორცის ჩაბარებისას, დაედება ფულადი ჯარიმა ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის ღირებულების რაოდენობით საბაზრო ფასის კვალობაზე და თანაც ჩამოერთმევა უდავო წესით ჩასაბარებელი ოთხფეხი საქონელი.

9. კოლექტიური მეურნეობების განსაზოგადოებულ ნახირში და საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმებში ოთხფეხი საქონლის ნამდვილი რაოდენობის გადამალვისათვის პასუხისგებაში მიცემულ უნდა იქნენ სისხლის სამართლის წესით, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 69 მუხ. თანახმად, კოლექტიურ მეურნეობათა გამგეობების თავმჯდომარენი და მეცხოველეობის საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმების გამგენი.

10. ამ დადგენილების პრაქტიკული განხორციელება დაეკისროს საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს და მის სარაიონო ორგანოებს.

11. იმ კოლექტიურ მეურნეობას, საკოლმეურნეო კომლს და ერთპიროვნულ მეურნეობას, რომელმაც სავსებით შეასრულა თავისი ვალდებულება სახელმწიფოსათვის ხორცის ჩაბარებისა სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის სექტემბრის 23-ის დადგენილებაში განსაზღვრულ ვალდებულებათა მიხედვით 1932 წლის ოქტომბრის 1-დან 1934 წლის იანვრის 1-დე განვლილ პერიოდში, უფლება მიეცეს შეასრულოს ამა დადგენილებით დაწესებული ვალდებულებანი ხორცის ვადამდე ჩაბარებით დაწყებული 1933 წ. ოქტომბრის 1-დან, 1934 წლის წლიურ ვალდებულებათა ანგარიშში.

12. კატეგორიულად აეკრძალოს ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს და აგრეთვე დამამზადებელ ორგანოებს — საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმებს, კოლექტიური მეურნეობების განსაზოგადოებულ ნახირს, კოლმეურნეებზე და ერთპიროვნულ მეურნეებზე სახელმწიფოსათვის ხორცის ჩაბარების ვალდებულების იმაზე გადიდებული რაოდენობით დაკისრება, რაც აღემატება ამ დადგენილების შესაბამისად გამოქვეყნებულ ნორმებს.

აგრეთვე აიკრძალოს ხორცის ჩაბარების დამატებითი ან შემხვედრი გეგმების მიცემა იმ მეურნეობებისათვის, რომელთაც ვადამდე შეასრულეს თავიანთი ვალდებულებანი, და სრული შესაძლებლობა მიეცეს პირიან ჩამბარებლებს თავისუფლად და თავის სურვილზე მოიხმარონ თავიანთი ზედმეტი პროდუქცია.

გაფრთხილებულ იქნეს ყველა პარტიული და საბჭოთა ორგანიზაცია, რომ შემხვედრი გეგმების მიცემაში დამნაშავე პირნი პასუხს აგებენ სისხლის სამართლის წესით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე: **გ. მგალობლიშვილი.**

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი: **ლ. ბერია.**

1933 წ. ოქტომბრის 15.

თბილისი.

კონკურსი საუკეთესო მეზთავსა და სავაგონო დეპოზე

ყოველი მეზთავი უნდა იცნობდეს ტექნიკურ ინსტრუქციას

სამტრედიის სავაგონო დეპო ძველებურად მუშაობს

(„კომუნისტის" დამკვრელთა რეიდის მასალებიდან)

სამტრედიის სავაგონო დეპო საორთქლმავლოს აგვისტოში გამოეყო. თითქმის მთელი თვე (3 ივლისიდან—აგვისტომდე) დასჭირდა უაზრო „დისკუსიებს", ამ გამოყოფის საჭიროების შესახებ. აგვისტოდან სავაგონო დეპო შეუდგა მუშაობას.

აგვისტოში მას დავალებული ქონდა საკონვენციო შეკეთებიდან 19 ვაგონის გამოშვება. ეს დავალება მთლიანად შესრულდა. ეს გეზი დეპოს მტკიცედ უნდა გაეგრძელებია შემდეგ თვეში, მით უმეტეს, რომ მას საქმე აქვს პურეულის გაძლიერებულ გადმოზიდვასთან, რაც მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას და ძალების მობილიზაციას; მაგრამ სწორედ ამ პერიოდში გამოჩნდა დეპოს სისუსტე. საკონვენციო შეკეთებიდან სექტემბერში მან 25 ვაგონის ნაცვლად გამოუშვა 20 ვაგონი, ხოლო მიმდინარე შეკეთებისათვის გაგზავნილ 486 ვაგონიდან გამოუშვა 476.

საკონვენციო შეკეთების დავალების შეუსრულებლობას დეპოს უფროსი ამხ. რუხაძე ხსნის სექტემბერში, პურეულის გადაზიდვასთან დაკავშირებით დურგლების გადაგზავნით ფოთში. სექტემბერში დეპო დარჩა 1—2 დურგლის ამარა. ამ „ახსნაში" ვერ დავეთანხმებით მას. დეპოს ხელმძღვანელობა მოვალე იყო მიეღო საჭირო ზომები დურგლებით დეპოს უზრუნველსაყოფად. ეს კი აქ არ გაუკეთებიათ. ახლა სამტრედიის დეპო შემცირებული შტატით ვერ ართმევს თავს ვაგონების შეკეთებას და აგზავნის ფოთში ავადმყოფ ვაგონებს იმ იმედით, რომ იქ არის მისი ძირითადი კადრები; სწორედ ამის გამო დიდია ვაგონების მოცდენა რემონტზე, რაც საბოლოოდ უარყოფით გავლენას ახდენს პურის გადაზიდვაზე.

ჩვენ ზევით დავინახეთ, რომ მიმდინარე შეკეთებისათვის სავაგონო დეპოს ბევრი ვაგონები ეგზავნება (აგვისტოში 493, სექტემბერში 486). ამას დეპოს სამეურნეო ხელმძღვანელობა ხსნის მით, რომ სურამის უღელტეხილზე მრავალი ვაგონები იმტვრევა ელექტრომწევის ცუდი მუშაობის შედეგად; იმაზე კი არავინ არაფერს ამბობს, რომ თვით სამტრედიაში სამანევრო ოპერაციების ყოვლად უმსგავსოდ წარმოებით აუარებელი ვაგონები ზიანდება. ამას სავაგონო დეპოს ადმინისტრაცია ყურადღებას არ აქცევს, ეს „დებულებით" მის მოვალეობაში არ შედის. ჩვენმა ბრიგადამ სადგურის ხაზებზე შეამჩნია თუ როგორ უხეშ-გულად ეკიდებიან სამანევრო ორთქლმავლებზე მომუშავე მემანქანეები თავის საქმეს, ისინი გამოქანებულ ორთქლმავალს აჯახებენ ვაგონებს და უზიანებენ მას წამყვან ნაწილებს. ამას არავინ (არც სადგური, არც საორთქლმავლო და არც სავაგონო დეპოები) ყურადღებას არ აქცევს. წამყვან ნაწილებდაზიანებული ვაგონები კი რემონტში დგება და ზრდის ავადმყოფ ვაგონების პროცენტს.

სამტრედიის სავაგონო უბანზე აგვისტოში ბუქსების წვის მიზეზით ადგილი ქონდა ვაგონების ახსნის 67 შემთხვევას, სექტემბერში კი 47 შემთხვევას. ბუქსების წვის მიზეზი მრავალია, მაგრამ მთავარი უბედურება მაინც მეზთავების უყურადღებობაში მდგომარეობს. მეზთავების მიზეზით აგვისტოში ბუქსების წვის გამო ახსნა 15 ვაგონი და სექტემბერში—11.

ბუქსების წვას იწვევს აგრეთვე მათი დაუცველობა მტვერისა და წყალისაგან. ბუქსების უმეტესობა ღიაა, მრავლად ვხვდებით მარგანეცით და ქვიშით ავსილ ბუქსის საზეთე უღლებს. უკანასკნელ ხანებში შემოუღიათ თუნუქის სახურავები, მაგრამ იგი უაზროდ არის გამოჭრილი, ზოგი ფართოა და ვერ ეტევა ჩარჩოში, ჩადგმულია მოლუნვით, ზოგიც სიპატარავის გამო გზაში იკარგება. დაწესებულ მარკის სახურავები ძალიან ცოტა ბუქსებს მოეპოება, დეპოს კი ასეთები სრულიად არ აქვს.

ბუქსები იწვის აგრეთვე ცუდი ხარისხის საცხებ მასალის მიზეზითაც. ამხ. რუხაძე გვარწმუნებს, რომ 10 სექტემბრამდე საცხები მასალა ცუდი ხარისხის იყო და მის შემდეგ გაუმჯობესდაო, მაგრამ მეზთავები სხვა აზრის არიან. მართალია ეხლა კარგი ხარისხის მასალა მოდის (მაზუთი მოხარშული), მაგრამ მას სამტრედიაში აფუჭებენ. ჩვენ ამაში პირადათ დავრწმუნდით, როდესაც საბუქსე მაზუთის შენახვის მდგომარეობა შევამოწმეთ. მაზუთს მეზთავები იღებენ თავლია ბაკიდან თუნუქის ჭიქებით, რაც აჭუჭყიანებს და ხარისხს უკარგავს მას. საბუქსე მაზუთი უნდა ინახებოდეს ჰერმეტიულად დაცულ ჭურჭელში და მეზთავები მას თავის თალანქებში უნდა ასხამდენ ონკანის საშუალებით. სამტრედიაში კი ეს წესი დარღვეულია. მაზუთი მართლაც კარგ ბაკშია მოთავსებული, მაგრამ ონკანი ბოქლომით არის დაკეტილი. ბაკის ქვეშ დგას მეორე თავლია ბაკი, რომელშიაც უშვებენ მაზუთს, ხოლო მეზთავები კი უკანასკნელიდან იღებენ მას ხელით. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მაზუთის ბაკთან მისასვლელი გზა შავი ტალახითაა დაფარული.

მეზთავის ინსტრუქციის ელემენტარულ მოთხოვნის (საცხებ მასალის შენახვა) დარღვევას სამტრედიაში ადგილი არ უნდა ექნეს, მეზთავებს უნდა ეძლეოდეს კარგი ხარისხის საცხები მასალა.

სამტრედიის სავაგონო უბანზედაც მოიპოებიან ნაგორნის ტიპის მეზთავები. ამხ. გ. ნიჟარაძე სამტრედიის საუკეთესო მეზთავია, რომელსაც 11 წლის განმავლობაში არ ქონია მისი მიზეზით ბუქსის გადაწვის არც ერთი შემთხვევა. არიან აგრეთვე სხვა მეზთავებიც, რომლებიც გულმოდგინეთ და კეთილსინდისიერათ ეკიდებიან თავის საქმეს, მაგრამ მათ გვერდით ჩვენ ვხვდებით ისეთ პირებსაც, რომლებიც ბუქსების წვის ორგანიზატორებს წარმოადგენენ.



ტფილისის სავაგონო დეპოს მეზთავი ამხ. გლუხარევი ჩაბმულია „კომუნისტი"-ს კონკურსში, არ ქონია ბუქსის წვის არც ერთი შემთხვევა.

ასეთებია: **დუნდუა**, რომელსაც 5 სექტემბერს ქონდა ბუქსის წვის გამო ვაგონის ახსნის ორი შემთხვევა ქვალონში და აბაშაში, **გკადუა**, რომლის დაუდევრობითაც მატ. № 708-დან ახსნა ვაგონი 13 სექტემბერს, **გ. კოხრეიძე**, რომელსაც ჭოლადიდში გადაეწვა ბუქსი 6 სექტემბერს, **რევიშვილი, სტურუა, მიქელაძე** (გამსინჯველები), რომელთა უყურადღებობით ახსნა ვაგონი 7 სექტემბერს, **ჭუჭუხელი**, რომელმაც ახსნა ვაგონი 17 სექტემბერს სენაკში, **ზამთარაძე**, ახსნა 2 ვაგონი იმავე დღეს აჯამეთში, **ნიჟარაძე, კალანდაძე** და სხვები. მათ შორის 5—6 კაცი პარტიის წევრებია, ყველა ისინი დასჯილი არიან ადმინისტრატიული წესით, და სამსახურიდან დათხოვნილია 6 კაცი, 4 ჩამოყენებულია დაბალ თანამდებობაზე, დანარჩენებს გამოცხადებული აქვს საყვედური.

ყველა ამის შემდეგ ამხ. რუხაძე მაინც აცხადებს, რომ მის სავაგონოუბანში „დისციპლინა დამაკმაყოფილებელიაო".

მეზთავი დაუფლებული უნდა იყოს თავის საქმეს, ის კარგად უნდა იცნობდეს ბუქსს, ერკვეოდეს საზეინკლო ხელოსნობაში, რომ შეძლოს ბუქსის ტკივილების გამორკვევა და დროზე მკურნალობა. ამ მხრივ სამტრედიის სავაგონო დეპო კარგ მუშაობას აწარმოებს. 69 მეზთავს მიღებული აქვს თვალსაჩინო ინსტრუქტაჟი, ბუქსის გამორთვის და იმის ჩვენებით, თუ რას უნდა მიაქციოს მან ყურადღება მატარებლის მსვლელობის დროს. მიმდინარეობს მეცადინეობა ტექმინიმუმის ჩასაბარებლად, სადაც გარდა ბუქსისა ისწავლება ზოგადად ვაგონის აგებულობა, მის თვისებებს და სხვა. ამ თვის დამლევს მოხდება გამოცდა და ვინც ტექმინიმუმს ვერ ჩააბარებს, იძულებული იქნება დასტოვოს ტრანსპორტი.

შევეხებით მეზთავთა საყოფაცხოვრებო პირობებსაც. უნდა ოთქვას ადგილი, მეზთავები ბინებით უზრუნველყოფილი არ არიან, სამსახურში დაიარებიან სოფლებიდან 10, 12, 15 და მეტი კილომეტრის დაშორებით. სამტრედიაში ისინი მოსასვენებელი ოთახითაც კი არ არიან უზრუნველყოფილი. 25 კვადრატულ მეტრიან ოთახში, სადაც ქვეშსაგები კი არა უბრალო ნარებიც კი არ არის მოწყობილი, 10—15 კაცს უხდება მოცდა და ზოგჯერ ღამის გათევაც. ხალხი წევს იატაკზე, თავ ქვეშ უდევს ბორბლის დასამუხრუჭებელი ლითონის კალაპოტები. ოთახში სიბინძურეა აუტანელი, არ არის შიგ წყალი და როგორც თვით მეზთავები აცხადებენ, ოთახს ზამთრობითაც კი არ ათბობენ.

მეზთავები მომარაგებული არ არიან ხელთანსაცმელით. შარშან მიუღიათ მხოლოდ ხელთათმანები და ტყავის ქურქები 8 წლის ვადით, მაგრამ ქურქები პირველ ჩაცმისთანავე შემოგლეჯიათ ტანზე ტყავის სიდამპლის გამო; ჩინოვნიკები მატერიალურ სამსახურიდან კი საკითხს ფორმალისტურად წყვეტენ „მათ დაურიგეთ ქურქები და 8 წლით თავისუფალი არიან"—ასეთია ამ ჩინოვნიკების მტკიცე რწმენა, ისინი ამას კი არ უწევენ ანგარიშს, რომ მათივე სიჯიუტით, თუ ფაქტის წინაშე თვალის განზრახ დახუჭვით ეს ქურქები დამპალი აღმოჩნდა და ამ ზამთარს ხალხი, რომლებმაც მარგანეცის ღია ბაქნებზე უნდა იმუშაოს ხალათების ამარა რჩება დასაცავი ტანისამოსის გარეშე. ცუდი საყოფაცხოვრებო პირობები მეზთავების ხელს უშლის, ხშირ წვიმებში უფლაშიროთ მეზთავების მუშაობა იქ წარმოუდგენელია. გზის სამმართველომ ამას ყურადღება უნდა მიაქციოს.

მეზთავების საჭიროებებს მეტი სიფხიზლით უნდა მოეკიდონ.

დასასრულ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ „**კომუნისტის**" მიერ საუკეთესო მეზთავსა და სავაგონო დეპოზე კონკურსის გამოცხადების შემდეგ სამტრედიის სავაგონო უბნის მუშაობაში მოხდენილია ერთგვარი გარდატეხა. ყოველი მეზთავი იცნობს კონკურსის პირობებს და იბრძვის პირველობისათვის.

კონკურსის დაწყების პირველ დღეებში ვე შესამჩნევი შეიქნა მისი უაღრესად დიდი მნიშვნელობა და ნაყოფიერება, რაც გამოიხატება ბუქსების წვის შემთხვევების შემცირებაში. თუ სექტემბრის პირველ დეკადაში უბანზე ადგილი ქონდა ბუქსების წვის 16 შემთხვევას, ოქტომბრის ამავე პერიოდში იყო 4 შემთხვევა და აქედან მხოლოდ ერთი მეზთავ ჭამბურიას მიზეზით. „**ბუქსის წვის არც ერთი შემთხვევა**". კონკურსის ეს ლოზუნგი მომავალში ერთი წუთითაც არ უნდა დაივიწყონ სამტრედიელმა მეზთავებმა.

სამტრედიის სავაგონო დეპოს მოეპოება ყველა შესაძლებლობები იმისათვის, რომ კარგად იმუშაოს საჭიროა მხოლოდ ამ დეფექტების გამოსწორება, რომლის შესახებაც ზემოდ გვქონდა ლაპარაკი. ეს დეპოს სამეურნეოების და მთელი მუშათა კოლექტივის საქმეა.

არის აგრეთვე მისგან დამოკიდებელი მომენტებიც, რომელსაც გზის სავაგონო დარგმა და სარემონტო ქარხანამ უნდა მიაქციონ ყურადღება. სამტრედიას 50 პროცენტით აკლია მასალები, ამ მხრივ კიდევ ითლათ მიდიან, რადგან კარგად მუშაობს უტოლსამჭრო, მაგრამ განსაკუთრებით საჭიროა მისთვის ეხლა მთელი სიმრუდე ბუქსები, ბუქსის სახურავები. და საზანდავე დაზგა, რომელიც გამოგზავნა სარემონტო ქარხანამ, მაგრამ იმის გამო რომ ცუდად შეკეთებული აღმოჩნდა უკანვე წაიღეს შესასწორებლად და აქამდე აღარ უბრუნებენ პატრონს.

ამ პირობების უზრუნველყოფით დეპო შესძლებს დავალებათა პირნათლად შესრულებას.

რეიდის მონაწილენი: **გეგუჩაძე, ბრ. ჩხობაძე, ან კელენჯერიძე.**

„კომუნისტი"-ს კონკურსი ვრცელდება ა. კ. რკ. გზის მე-3 და მე-4 რაიონებზეც

„კომუნისტის" მიერ ა-კ. რკინის გზის პირველ და მეორე რაიონების მასშტაბით საუკეთესო მეზთავსა და სავაგონო დეპოზე კონკურსის გამოცხადებამ ფართო გამოხმაურება ჰპოვა გზის ხელმძღვანელ სამეურნეო და პროფესიულ ორგანიზაციებში.

გზის სამმართველო და რკინიგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტი აძლევენ რა გაზეთის ამ ინიციატივას უდიდეს პოლიტიკურ და სამეურნეო მნიშვნელობას, იმ მიზნით, რომ საუკეთესო მეზთავისა და სავაგონო დეპოსათვის ბრძოლაში არ ჩამორჩენ გზის დანარჩენი რაიონებიც (მე-3 და მე-4), საჭიროდ სთვლიან კონკურსის ამ რაიონებზედაც გავრცელებას.

ამ მიზნით დამუშავებულია წერილის პროექტი, რომელსაც ხელს აწერენ გზის უფროსი და საგზაო კომიტეტის თავმჯდომარე და რომელიც ამ დღეებში დაეგზავნება ადგილებს.

კონკურსის პირობები, რომელიც გამოქვეყნებული იყო „კომუნისტის" მიერ, ძირითადად უცვლელი რჩება, მას მხოლოდ ემატება ზოგიერთი პირობა სავაგონო დეპოებისათვის.

თავის მხრივ, გზის მე-3 და მე-4 რაიონების საუკეთესო მეზთავების დასაჯილდოვებელ ფონდში გზის სამმართველო და საგზაო კომიტეტი რიცხავენ თანხას 5 ათასი მანეთის რაოდენობით.

დამატებით, ყველა სავაგონო დეპოსათვის გზის სამმართველო და საგზაო კომიტეტი აწესებენ ფულად ჯილდოს ათასი მანეთის რაოდენობით და ტექნიკურ ბიბლიოთეკას.

„კომუნისტის" გარდამავალი დროშა ხდება გზის ყველა სავაგონო დეპოს საბრძოლო ობიექტად და მას მიიღებს საუკეთესო დეპო მთელ გზაზე.

წერილი „კომუნისტის" კონკურსის მე-3 და 4 რაიონებში გადატანის შესახებ, კონკურსის დამატებითი პირობებით და პრემიებით გამოქვეყნებული იქნება ჩვენი გაზეთის მახლობელ ნომერში.

პარტკონფერენცია სამუშაო დღის შემჭიდროების საკითხზე

გუშინ, საღამოს, პლეხანოვის სახ. რკინიგზელთა კლუბში გაიხსნა სტალინის სახელობის ორთქლმავალთა სარემონტო ქარხნის პირველი პარტკონფერენცია შვიდსაათიანი სამუშაო დღის შემჭიდროების საკითხზე.

კონფერენცია გახსნა ქარხნის პარტკომის მდივანმა ამხ. ვ. დარსაძემ. კონფერენციამ აირჩია საპატიო და საქმიანი პრეზიდიუმები. სამდივნო და სამანდატო კომისია, რის შემდეგ მოისმინა ქარხნის უფროსის ამხ. ბ. რაზმაძის მოხსენება შვიდსაათიანი სამუშაო დღის შემჭიდროების საკითხზე.

დღეს, საღამოს იმუშავებენ სექციები, 21 ოქტომბერს შესდგება კონფერენციის დასკვნითი სხდომა.

უზრუნველვყოთ პურის მოზიდვა ვაგონებით შავი ზღვის ნავთსადგურიდან

ფოთი, 19 ოქტომბერი. მეექვსე დღეა ფოთის ნავთსადგურში დგანან პურით დატვირთული გემები „ილიჩი" „კომუნისტი" და „ურალლესი". პურის გადმოტვირთვა ჭრაა დაწყებული ცარიელი ვაგონების უქონლობის გამო, ხოლო საწყობები გადატვირთულია. ამიერ-კავკასიის რკინის გზის პირველი და მეორე რაიონები პურის გადმოზიდვის საკითხს საკმარის ყურადღებას არ აქცევენ. შექმნილი მდგომარეობა ჩაშლით ემუქრება ზღვით პურის გადმოზიდვას. აუცილებელია სასწრაფო ღონისძიებების ხმარება ფოთის ნავთსადგურის უზრუნველსაყოფად საჭირო რაოდენობის ვაგონებით.

პოლონეთის პრესა მოითხოვს ერთიან ფრონტს გერმანიის წინააღმდეგ

ვარშავა, 17 ოქტომბერი. პოლონეთის პრესა გაცხოველებულ კომენტარიებს უკეთებს გერმანიის წასვლას ჟენევიდან. „კურიერ პორანნი" მოუწოდებს ევროპის სახელმწიფოებს გადაჭრით გამოვიდნენ მთლიანი ფრონტით გერმანიის წინააღმდეგ. გაზეთი წერს:

„გერმანიის საქციელი წარმოადგენს იმის უცილობელ სიგნალს, რომ ახლოვდება მე-12 საათი. ახლა, როცა 12 საათს 5 წუთი აკლია, გადამწყვეტი გამოსვლით ჯერ კიდევ შეიძლება იმის თავიდან აცილება, რისთვისაც 1, 2 ან 3 წლის შემდეგ მოგვეთხოვება პასუხი ათეული და ასეული მილიონების აუწერელი ტანჯვის სახით. დღეს სახელმწიფოთა მტკიცე და გადამწყვეტი „ვეტო" გერმანიის მიმართ ჯერ კიდევ შეიძლება აღმოჩნდეს საკმაო იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ ახალი ომის კატასტროფა" (ადს).

განიარაღების კონფერენციის სხდომები გადაიდო

ამხ. დოვგალევსკი ჰენდერსონის მიერ ფონ-ნეირატისათვის გაგზავნილ პასუხის შესახებ.

ჟენევა, 16 ოქტომბერი. განიარაღების კონფერენციის გენერალურმა კომისიამ მოიწონა ჰენდერსონის მიერ წარმოდგენილი პასუხი ნეირატისადმი. კენჭის ყრაში მონაწილეობისაგან თავი შეიკავეს საბჭოთა კავშირის, პოლონეთის და თურქეთის დელეგაციებმა. შემდეგ გენერალურმა კომისიამ დაადგინა გადაიდოს განიარაღების კონფერენციის შემდგომი მუშაობა 26 ოქტომბრამდე. ამხ. დოვგალევსკიმ, დაასაბუთა რა საბჭოთა დელეგაციის მიერ კენჭის ყრაში მონაწილეობისაგან თავის შეკავება, განაცხადა:

„საბჭოთა დელეგაცია არ გაილაშქრებდა კონფერენციის თავმჯდომარის მიერ ნეირატისათვის პასუხის გაგზავნის წინააღმდეგ. მაგრამ საბჭოთა დელეგაცია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს არ უნდა იქნეს გაგებული ისე, თითქოს საბჭოთა დელეგაცია პასუხის ტექსტს სავსებით ეთანხმება. მართლაც, პასუხის ტექსტი ემყარება ამბებს და ეყრდნობა მოლაპარაკებას, რომელიც კონფერენციის პარალელურად სწარმოებდა ზოგიერთ სახელმწიფოებს შორის. საბჭოთა დელეგაციას არ შეუძლია იკისროს პასუხისმგებლობა, როცა საქმე ეხება მოლაპარაკებას, რომელშიაც მას არავითარი მონაწილეობა არ მიუღია. პოლონეთის და თურქეთის დელეგაციებმა მხარი დაუჭირეს ამხ. დოვგალევსკის გამოსვლას. (ადს).

ამერიკის დელეგაციის განცხადება

ჟენევა, 17 ოქტომბერი. გუშინ საღამოთი ამერიკის დელეგაციამ გამოაქვეყნა ნორმან დევისის შემდეგი განცხადება ამერიკული პრესის წარმომადგენლებისადმი:

„ჩვენ ჟენევაში ვიმყოფებით მხოლოდ და მხოლოდ განიარაღების განხორციელების მიზნით და სანამ შესაძლებელი იქნება წარმატებით გაგრძელდეს მოლაპარაკება განიარაღების შესახებ, ჩვენ დიდი ხალისით მივიღებთ მასში მონაწილეობას. ამავე დროს, ჩვენ არა ვართ დაინტერესებული საერთო პოლიტიკური მომენტებით ან პრობლემების დაყენებით რაიმე წმინდა ევროპიულ ასპექტში. ჩვენ კვლავ ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ სრულებითაც არა ვართ პოლიტიკურად დაკავშირებული ევროპის რომელიმე სახელმწიფოსთან. ამ კვირის განმავლობაში გაიმართება თათბირი ევროპის სახელმწიფოებს შორის. ჩვენ არ გვინდა მასში აქტიური მონაწილეობა მივიღოთ, რადგან ამ თათბირს საერთო პოლიტიკური ხასიათი ექნება (ადს).

ყოფილი კაიზერი ვილჰელმი იწონებს ჰიტლერის საგარეო პოლიტიკას

პრაგა, 17 ოქტომბერი. დოორნიდან (ჰოლანდია) მიღებული ცნობით, გერმანიის ყოფილმა იმპერატორმა ვილჰელმმა გამოაქვეყნა ცნობა, რომელშიაც ესალმება ჰიტლერის საგარეო პოლიტიკას (ადს).

ინგლის-გერმანიის უთანხმოებანი

ლონდონი, 18 ოქტომბერი. ინგლისური გაზეთების ცნობით, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ნეირატმა გერმანიის პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ საიმონმა შექმნა არასწორი შთაბეჭდილება, თითქოს გერმანიის წარმომადგენლებმა ჟენევაში დაიკავეს უფრო შემარიგებლური პოზიცია, ვიდრე ლონდონში, და რომ ამერიკის მთავრობას მან გაუგზავნა არა ზუსტი ინფორმაცია გერმანიის მოთხოვნების შესახებ განიარაღების საკითხში (ადს).

ლონდონი, 17 ოქტომბერი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, საიმონმა მის წინააღმდეგ ნეირატის გამოსვლის შესახებ გაზეთებში მოთავსებული ცნობების გამო განაცხადა: „მე სამწუხაროდ მიმაჩნია, თუ არსებობს რაიმე უთანხმოება ბარონ ფონ-ნეირატთან. ჩემი თანამემამულენი დარწმუნებული უნდა იყვნენ, რომ არა ზუსტი ინფორმაციის მიწოდებაში, რაზედაც ლაპარაკობს ფონ-ნეირატი, მე არ მიმიძღვის დანაშაული" (ადს).

ს. ს. რ. კ. რევოლუციურ სამხედრო საბჭოს ბრძანება № 163

1933 წლ. 17 ოქტომბერი, ქ. მოსკოვი

1. 1933 წლ. 10 ოქტომბერს მუშურ-გლეხური წითელი არმიის სამხედრო-საჰაერო ძალთა სამეცნიერო-საგამოკვლეო ინსტიტუტის საპარაშუტო საქმის ინსტრუქტორმა ამხ. **ევსეევმა** მოახდინა ხანდაზმულობითი გადმოხტომა 1,200 მეტრის სიმაღლიდან 150 მეტრამდე ჟანგბადის ხელსაწყოთი. თავისუფალი ვარდნა გაგრძელდა 132,5 წამს, რა ხნის განმავლობაშიაც დაფარულ იქნა 7.050 მეტრი.

2. დასახული ამოცანის გადასაჭრელად ჩატარებულ მუშაობაში გამოჩენილი სიმტკიცისა, საქმის საგამოკვლევო მხარის კარგი ორგანიზაციისა და გამბედაობისა და სიმამაცისათვის ამხ. ევსეევს ვაჯილდოებ წამსაზომიანი ოქროს საათით წარწერით: „**საჰაერო მებრძოლს ამხ. ევსეევს სიმამაცისათვის ს.ს.რ.კ. რევოლუციურ სამხედრო საბჭოსაგან**".

სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარი და ს.ს.რ.კ. რევოლუციური სამხედრო საბჭოს თავმჯდომარე **ვოროშილოვი.**

სტრატოსტატი „ს.ს.რ.კ."-ი აფრინდა 19 კილომეტრის სიმაღლეზე

აქტი

1933 წლის 16 ოქტომბერს კომისია საბჭ. კავშირის მთლიანი ჰიდრო-მეტეოროლოგიური დარგის ცენტრალური სამმართველოს უფროსის პროფ. ა. ფ. **ვანგენგეიმის** თავმჯდომარეობით ს.ს.რ.კ. ცაკთან არსებული სამეცნიერო კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის პროფ. **ვ.ტ. ტერ-ოგანეზოვის**, მთავარი გეოფიზიკური ობსერვატორიის აეროლოგიური ინსტიტუტის დირექტორის პროფ. პ. ა. **მოლჩანოვის**, სამხედრო-საჰაერო აკადემიის უფროსის მოადგილის ამხ. პ; ს. **დუბენსკის**, სამხედრო - საჰაერო ძალთა სასწავლო განყოფილების უფროსის ამხ. ვ. ა. **სემიონოვის**, მუშურ-გლეხური წითელი არმიის სამხედრო - საჰაერო ძალთა მეტეოროლოგიური დარგის უფროსის ამხ. მ. ვ. **ბელიაკოვის**, თავდაცვა-ავიაქიმის წარმომადგენლების ამხ. **ილინის**, ფ. ნ. **ბუტლერის**, მუშურ-გლეხური წითელი არმიის სამხედრო-საჰაერო ძალთა მეტეოროლოგიური დარგის უფროსის მოადგილის ამხ. ა. ა. **კულაკოვის**, მუშურ-გლეხური წითელი არმიის სამხედრო-ტექნიკური სასწავლებლის გეოდეზიური ნაწილის უფროსის ამხ. ა. ქ. **მაქსიმოვის** და მუშურ-გლეხური წითელი არმიის სამხედრო - საჰაერო ძალების მთავარი აერომეტეოროლოგიური სადგურის უფროსის ამხ. ვ. ი. **ალტოვსკის** შემადგენლობით —სტრატოსტატის აფრენის სიმაღლის შესახებ არსებულ ყველა ცნობების ანალიზის საფუძველზე დამტკიცებულად სთვლის, რომ სტრატოსტატ „ს.ს.რ.კ"-ის აფრენის მაქსიმალური სიმაღლე 1933 წლის 30 სექტემბერს 13 ს. 00წ. და 13 ს. 20 წ. შუა უდრიდა 19 კილომეტრს ზღვის დონიდან.

პროფ. **ვანგენგეიმი**, პროფ. **ტერ-ოგანეზოვი, დუბენსკი, სემიონოვი, ბელიაკოვი, ილინი, ბუტლერი, კულაკოვი, მაქსიმოვი, ალტოვსკი.**

საიმონი თავს იმართლებს

ლონდონი, 17 ოქტომბერი. როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, საიმონმა ერთა ლიგიდან გერმანიის გამოსვლის და მის მიერ განიარაღების კონფერენციის დატოვების გამო წარმოთქმულ რადიოსიტყვაში განაცხადა: გერმანიის წასვლა წარმოადგენს ისეთ საკითხს, რომელიც უნდა განიხილოს ინგლისის კაბინეტმა მთლიანად და რომელიც ზუსტად უნდა იქნას შესწავლილი და მოფიქრებული. „ეს საკითხი, — განაცხადა საიმონმა, — შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ სხვა სახელმწიფოებთან კონტაქტში გერმანიის მთავრობის მონაწილეობით, და არავის არ შეუძლია გააკეთოს ნაადრევი განცხადება. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ გერმანიის მთავრობის მიერ უკანასკნელ დროს დაკავებული პოზიცია კიდევ უფრო აძლიერებს ბზარს განიარაღების კონფერენციაში და ზიანს აყენებს, თუ სრულიად არ სპობს, მთელ ჩატარებულ მუშაობას. უნდათ დამარწმუნონ: გერმანიის მთავრობამ თითქოს განახორციელებინოს თავისი განზრახვა განიარაღების კონფერენციის დატოვებისა, კონფერენციის ბიუროში ჩემი გამოსვლის გამო და ჩემი გამოსვლის მომენტში.

მაგრამ მე უნდა დავსძინო, რომ ფიქრი, თითქოს გერმანია ამ მიზეზით წასულიყოს კონფერენციიდან, უაღრესად აბსურდულია"

დეპეშების გაგრძელება იხ. მე-4 გვ.

საქართველოს [illegible]

პარტიული მშენებლობა

შაქრის ჭარხლის რაიონების პარტორგანიზაციებმა უნდა უზრუნველყონ ჭარხლის ამოღება-გადაზიდვის გეგმების მთლიანად შესრულება

შაქრის ჭარხლის ამოღების და გადაზიდვის გეგმა შესრულებულია 28 პროცენტით

(გორის სამ.-სატრ. სადგურის პოლიტგანყოფილების უფროსის მოადგილის წერილი)

1933 წელს, გორის რაიონის კოლმეურნეობებს გეგმით შაქრის ჭარხალი უნდა დაეთესათ 729 ჰექტარზე; ეს დავალება მთლიანად იქნა შესრულებული. განსაკუთრებით აღსანიშნავია შაქრის ჭარხლის დიდი მოსავლიანობისათვის დროზე მუშაობის გაჩაღება; კოლმეურნეობებმა თავდადებული ბრძოლა გასწიეს შაქრის ჭარხლის ნათესების მოვლა-დამუშავების მაღალი ხარისხისათვის.

რაიკომისა და პოლიტგანყოფილების მიერ შაქრის ჭარხლის ნათესების მოვლა - დამუშავების საკითხს თავიდანვე სერიოზული ყურადღება მიექცა.

დიდი მუშაობა ჩატარდა შაქრის ჭარხლის მავნებლების (მინდვრის ფარვანა). წინააღმდეგ, რომელიც სამჯერ მოედო ჭარხლის ნათესებს. ყველა ამ ღონისძიების საქმიანად განხორციელებამ უზრუნველყო შაქრის ჭარხლის დღემდის გაუგონარი მოსავალი, ასე მაგალითად: 1932 წ. თვითეულ ჰექტარზე განსაზღვრული იყო 100 ცენტნერის შაქრის ჭარხლის მიღება, ფაქტიურად მიღებულ იქნა საშუალოდ 127 ცენტნერი. მიმდინარე 1933 წ. კი სრულიად სხვა სურათი გვაქვს. გეგმით საშუალოდ ჰექტარზე მიღებული უნდა ყოფილიყო 71 ცენტნერი. სინამდვილემ ამასაც გადააჭარბა, საშუალოდ ჰექტარზე მოსავალი მოდის 120—150 ცენტნერამდე. არის მთელი რიგი კოლმეურნეობები (სკრის, ზემოტყვიავის, შრომისუბნის, კირბალის, შავშების, მეჯუდისპირის და სხვ.), სადაც მიიღეს ჰექტარზე 140—200 ცენტნერამდე მოსავალი. ზემდგომი ორგანოების დადგენილების თანახმად, გორის რაიონში საკოლმეურნეო სექტორისგან სულ მიღებული უნდა ყოფილიყო შაქრის ჭარხალი 52488 ცენტნერი, ნამდვილად კი მიღებულია 90.000 ცენტნერი; ასეთი დიდი მიღწევა საუკეთესო პასუხია საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის 1933 წლის 10 ივნისის დადგენილებაზე, გორის რაიონში „მოსავლიანობის გაზრდის შესახებ“.

გორის სამ.-სატრ. სადგურის პოლიტგანყოფილებამ შაქრის ჭარხლის ამოღება - გადმოზიდვის საქმის მაღალი ხარისხით შესრულებისათვის დროზე გააჩაღა მოსამზადებელი მუშაობა. ეს საკითხი დაწვრილებით დამუშავდა ყველა საკოლმეურნეო ძირეულ პარტ და კ. კ. რგოლში, კოლმეურნეთა საერთო კრებებზე, მომზადდა საჭირო იარაღები ჭარხლის ამოსაღებად და სათანადო ადგილას მის გადასაზიდად. 12 ოქტომბრისათვის ამოღებული და გადმოზიდული 15 ათასი ცენტნერი, რაც შეადგენს გეგმის 28 პრ., მაგრამ მიმდინარე წლის ორმაგი მოსავალი თავის დროზე, რომ იქნეს გადმოზიდული, ამის შესაძლებლობა მთლიანად არაა, მით უმეტეს, რომ ამჟამად რაიონში მიმდინარეობს შემოდგომის თესვა, აგრეთვე გასულ წელთან შედარებით დიდძალი ხილის გადმოზიდვა. მართალია ზემდგომი ორგანოების მიერ მოცემულია 4 ავტომანქანა, მაგრამ ეს ძალიან ცოტაა. **საჭიროა ცენტრალური ორგანიზაციების მიერ დამატებით დახმარების გაწევა.** აღსანიშნავია, რომ მოვლინებული ავტომანქანები მომარაგებული არ არიან ბინებით და სხვ... ეს მდგომარეობა ტრაქტორცენტრის და მომარაგების სახალხო კომისარიატის მიერ სასწრაფოდ გამოსწორებული უნდა იქნეს.

განსაკუთრებით დიდი ყურადღების ღირსია შემდეგი ფაქტი: გორის სამ.-სატრ. სადგურის პოლიტგანყოფილებამ და დირექციამ დაამუშავა კონკრეტული ვალდებულებანი შაქრის ჭარხლის ამოღება - გადმოზიდვის უკეთ ჩატარებისათვის და სოციალისტურ შეჯიბრში გამოიწვია აგარის და კასპის სამანქანო - სატრაქტორო სადგურები; არბიტრად დასახელებული იყვნენ „კომუნისტის“ და „ზარია ვოსტოკას“ რედაქციები. კასპის სამ.-სატრ. სადგურმა გამოწვევა მიიღო, აგარის სამ.-სატრ. სადგურმა

დანიშნულ არბიტრების მიერ საჭიროა გორისა და კასპის სამანქ.-სატრაქტორო სადგურებს შორის უკვე გაფორმებული სოცშეჯიბრების ხელშეკრულებების შესრულების მიმდინარეობის შემოწმება. ეს უეჭველად ხელს შეუწყობს მუშაობის მაღალი ხარისხით წარმართვას და გეგმების ვადაზე ბოლშევიკურად შესრულებას.

ალ. ჟუმბურიძე.

ჩავაბაროთ სახელმწიფოს საუკეთესო ხარისხის ჭარხალი

(კასპის რაიონი)

შაქრის ჭარხლის აღება - ჩაბარებისათვის მოსამზადებელი მუშაობა კასპის რაიონში თავის დროზე დაიწყო. სამ.-სატრ. სადგურის პოლიტგანყოფილებისა და რაიკომის დადგენილების საფუძველზე თვითეულ კოლმეურნეობაზე მიმაგრებულია პასუხისმგებელი ამხანაგები.

თვითეულ კოლმეურნეობამდე დაყვანილია გეგმა. ცალკე ბრიგადებმა და რგოლებმა უკვე იციან — შაქრის ჭარხლის რა რაოდენობა უნდა ჩააბაროს დამამზადებელ პუნქტებს.

მთელ რიგ კოლექტიურ მეურნეობებს, რომელთაც საკმაო რაოდენობით უთესიათ შაქრის ჭარხალი, არა ყავთ გამწევი ძალა და არ მოეპოვებათ ურმები (სარიბარი, ჩობალალი, ყარაფილი და სხ.), რაც საფრთხის წინაშე აყენებს ამოთხრილი ჭარხლის გადმოზიდვის საქმეს.

აგარის შაქარმშენი კოლმეურნეობებს პირდება ავტომანქანებს, მაგრამ ამ მხრივ დღემდე არაფერი გაკეთებულა.

დამამზადებელი პუნქტები მუშაკებით ჯერაც არ არის შევსებული. ჭარხლით დატვირთულ ურმებს დიდხანს ალოდინებენ. ანგარიშსწორება არ სწარმოებს. საანგარიშო ნაწილის მუშაკები და მოლარეები პუნქტებზე დანიშნულ დროზე არ ცხადდებიან. მოუგვარებელია ინფორმაციების გზავნა გეგმის შესრულებაზე და სხვ. პუნქტებში უმეტესად რუსები მუშაობენ, რომელთაც არ იციან ქართული ენა, ეს კი აფერხებს კოლმეურნეებთან ანგარიშსწორების დაყენებას. ამ მდგომარეობას ახლავე უნდა მიექცეს ყურადღება. პუნქტები უნდა შეივსოს ქართული ენის მცოდნე მუშაკებით.

სადირექტივო ორგანოების განკარგულების თანახმად, შაქრის ჭარხლის ჩამბარებლებს უნდა მიეცეს სამრეწველო საქონელი, მაგრამ ამ მხრით აქამდე არ არის გადადგმული პრაქტიკული ნაბიჯი.

შაქრის ჭარხლის მიღების გეგმა მიმღები პუნქტების მუშაკებმა არ იციან.

პუნქტებს არა აქვთ ბარაკები და ჭარხლის შესანახი ადგილები. ის ადგილი, სადაც მოთავსებულია ჭარხალი, ჩაღრმავებულია და დგება წყალი.

შრომის წესიერ ორგანიზაციას შაქრის ჭარხლის აღების კამპანიის დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

ცალკე ბრიგადებში და რგოლში არიან ზარმაცებიც, კარგი მომუშავენიც და საშუალონიც. აქ არ არის დაინტერესება და წახალისება მუშაობაში. არ არსებობს გამომუშავების ნორმები. ერთი ჰექტარი ჭარხლის ამოღება დაკისრებული აქვს 14 კაცს, ხოლო 28 კაცს გარჩევა-გასუფთავება, მაშინ როდესაც საჭიროა ამოთხრაზე 7 კაცი და გასუფთავება - გარჩევაზე 28 კაცზე ნაკლები.

სამანქ. - სატრ. სადგურის ხელმძღვანელობამ და მიწგანმა უნდა შესძლონ ადგილებზე გამომუშავების ნორმების დაზუსტება — თვითეულმა კოლმეურნემ უნდა იცოდეს რა უნდა გამოიმუშაოს დღიურად.

1,5 ჰექტარიდან მიიღეთ 2 ათასი ფუთი ჭარხალი

კასპის კოლმეურნეობა „ძმობამ“ 1,5 ჰექტარ ჭარხლის ნათესიდან მიიღო 2.000 ფუთი ჭარხალი. ჭარხლის მოსავლის გადიდების დარგში ასეთი წარმატება მიღწეული იქნა ჭარხლის ნათესების საუკეთესო მოვლით და დამუშავებით.

კოლმეურნეობა „ძმობას“ დამკვრელებმა წარმატებით შეასრულეს თავისი მოვალეობა პარტიისა და ხელისუფლების წინაშე.

1-ლ ოქტომბრიდან ცუდი ამინდები დაიწყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, კასპის, დოესის, მეტეხის, ქვ. გომის ერთაწმინდის, ზ. - ჩოჩეთის, გარიყულას და ახალქვიის კოლმეურნეობებმა ჩააბარეს 103 ტონა ჭარხალი.

ცუდმა ამინდებმა ხელი შეუშალა ქვ. ჭალის და ლამისყანის კოლმეურნეობებს ამოთხრილ ჭარხლის გადმოზიდვის საქმეში.

მიმღებ პუნქტებზე არ მოწმდება ამოთხრილი ჭარხლის ხარისხი. პუნქტის თანამშრომლებმა არ იციან როგორი ჭარხალი უნდა მიიღონ. თავები კარგად არ არის გათლილი და ბოლოები წაჭრილი არა აქვთ, რაც იწვევს ადრიანად ჭკნობას. ამ მდგომარეობას ახლავე უნდა მიექცეს ყურადღება.

მივცეთ ქვეყანას საუკეთესო ჭარხალი — ასეთია ამოცანა, რომელიც უნდა გადაჭრან კასპის რაიონის კოლმეურნეებმა.

გ. სიამაშვილი.

სამანქანო-სატრაქტორო სადგურების პოლიტგანყოფილებათა გაზეთების დასახმარებლად

პრესის მიმოხილვის მაგივრად

ძირეული პრესა-პოლიტგანყოფილების გაზეთის დასაყრდენია

„საკოლმეურნეო და ბრიგადული გაზეთები—აი ჩვენი დასაყრდენი მასობრივ მუშაობაში“,— ასეთი ლოზუნგით გამოვიდა „ბეზენჩუკსკი უდარნიკი“—ბეზენჩუკის სამანქანო-სატრაქტორო სადგურის პოლიტგანყოფილების გაზეთის, პირველი ნომერი. კარგი დასაწყისია!

* * *

კედლის გაზეთებმა—კოლმეურნეთა მასების პოლიტ. აქტივობის ამ მკაფიოდ გამოხატულებამ—მკვიდრად მოიკიდეს ფეხი საკოლმეურნეო ყოფაცხოვრებაში. უიმათოდ წარმოუდგენელია კოლმეურნეთა შორის პოლიტგანყოფილების პარტიულ-მასობრივი და აღმზრდელობითი მუშაობა. კედლის გაზეთები აერთიანებენ კოლმეურნეობის საუკეთესო ადამიანებს: საკოლმეურნეო წარმოების წინამძღოლებს, დამკვრელებს, სოფლკორების აქტივს, ე. ი. ისეთ ადამიანებს, რომლებიც ესაჭიროება პოლიტგანყოფილებას. ესაჭიროება პოლიტგანყოფილების გაზეთსაც, რომ იგი მასობრივი გახდეს. ამიტომ პოლიტგანყოფილებათა გაზეთებმა თავისი მუშაობის პირველ ნაბიჯებიდანვე ძირეულ საკოლმეურნეო პრესასთან მეტად მჭიდრო, ცოცხალი, ორგანიული კავშირი უნდა დაამყარონ.

იმისათვის, რომ კედლის გაზეთები ბრიგადებში, სამინდვრო პუნქტებში, კოლმეურნეობათა გამგეობებში პოლიტიკურად მახვილი და ფაქტიური მასალით გაჟღენთილი იყვნენ, რომ ისინი პოლიტგანყოფილების და საკოლმეურნეო უჯრედების მებრძოლი თანაშემწენი. პოლიტგანყოფილების გაზეთის საიმედო დასაყრდენი გახდეს,—საჭიროა მათ ხელმძღვანელობა გაეწიოთ, დახმარება აღმოეჩინოთ. პოლიტგანყოფილების პრესას უფრო მეტად, ვიდრე რომელიმე სხვას,—რაიონულს ან საოლქოს,—აქვს შესაძლებლობა განახორციელოს ძირეული საკოლმეურნეო პრესის ცოცხალი, ყოველდღიური ხელმძღვანელობა, უშუალოდ დაეხმაროს მას.

პოლიტგანყოფილების გაზეთის რედაქტორი, როგორც პრესის მუშაკი, პირველ რიგში პასუხისმგებელია სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მოქმედების რაიონის საკოლმეურნეო კედლის გაზეთების მუშაობისათვის.

პოლიტგანყოფილებათა გაზეთების შექმნამდე რაიონული პრესა მოწოდებული იყო ხელმძღვანელობა გაეწია კედლის გაზეთების მუშაობისათვის მთელი რაიონის კოლმეურნეობებში.

ამ ხელმძღვანელობას სერიოზული დეფექტები ახასიათებდა და დღესაც ახასიათებს. რაიონული გაზეთების მეტი ნაწილი ყოველდღიურ მეთვალყურეობას არ უწევდა რაიონულ გაზეთებს და, მაშასადამე, კონკრეტულად და ყოველდღიურად არ ეხმარებოდა საკოლმეურნეო კედლის გაზეთების რედკოლეგიებს. უკეთეს შემთხვევაში რაიონული გაზეთი იწვევდა ძირეული რედკოლეგიების რაიონულ შეკრებას, რომელზედაც უკანასკნელი ისმენდენ მოხსენებას ზოგად თემაზე. უფრო იშვიათად რაიონული გაზეთი ათავსებდა კედლის გაზეთის მიმოხილვას, მაგრამ ეს მიმოხილვები ბევრ რამეს ვერავის ასწავლიდენ, რადგან ისინი „კაბინეტური“ წესით, რედაქციის კედლებში კეთდებოდა. „ცოცხალ ცხოვრებას“ მოცემული კედლის გაზეთის კონკრეტულ პირობებს მიმოხილვისათვის არ იკვლევდენ. ასეთი ზოგადი ხელმძღვანელობის მეთოდებს შედეგად ის მოყვა, რომ ბევრი კედლის გაზეთი (მაგალითად, ჩრდილოეთ კავკასიაში) გასულ წელს პურის დამზადების დროს კულაკების ხელში აღმოჩნდა.

სამწუხაროდ, პოლიტგანყოფილებათა გაზეთების ზოგიერთი რედაქტორი კედლის გაზეთების მუშაობის ზოგადი ხელმძღვანელობის გზას დაადგა. რაიონული და საოლქო პრესის წაბაძვით, პოლიტგანყოფილებათა გაზეთები ძირეული პრესისადმი თავის დახმარებას მხოლოდ იმით განსაზღვრავენ, რომ თავის პატარა ფურცლებზე ათავსებენ პრესის მიმოხილვას. რა გამოდის აქედან? ვრცელი მიმოხილვის მოთავსება, სადაც მოყვანილი იქნება ძირითად მითითებათა სისწორის დამადასტურებელი ციტატები, კედლის გაზეთის შინაარსის დაწვრილებითი ანალიზის მიცემა პოლიტგანყოფილების გაზეთს მცირე ფორმატის გამო ხშირად არ შეუძლია. ამიტომ ის იძულებული ხდება დასჯერდეს ზოგად მითითებებს თემაზე, თუ რა უნდა გააკეთოს კედლის გაზეთმა და რა არ უნდა გააკეთოს.

პოლიტგანყოფილების გაზეთმა გადაჭრით უნდა უკუაგდოს კედლის გაზეთების მიმართ ცენტრალური და რაიონული გაზეთების ხელმძღვანელობის მეთოდების გადმოღება. ძირეული და კედლის გაზეთის მიმართ პოლიტგანყოფილების გაზეთის ხელმძღვანელობის მეთოდი ცოცხალი, ინსტრუქციული ხასიათის უნდა იყოს. **პოლიტგანყოფილების გაზეთი უშუალოდ უნდა ეხმარებოდეს კედლის გაზეთების რედკოლეგიებს, ე. ი. იმ ადამიანებს, რომელნიც მათ აკეთებენ.**

როგორ უნდა განხორციელდეს ეს უშუალო დახმარება?

პოლიტგანყოფილების გაზეთმა კედლის გაზეთს უწინარეს ყოვლისა უნდა მისცეს **პოლიტიკური მიმართულება** ამა თუ იმ სამეურნეო-პოლიტიკური კამპანიის დაწყების წინ. ამ მხრივ ყურადღების ღირსია ბეზენჩუკის სამანქანო-სატრაქტორო სადგურის (შუა ვოლგა) პოლიტგანყოფილების გამოცდილება. პოლიტგანყოფილებამ მოაწყო **საკოლმეურნეო და ბრიგადული გაზეთების მდგომარეობის მასობრივი გამოკვლევა.** გამოირკვა, რომ კედლის გაზეთები სუსტად იბრძვიან პურის ჩაბარების გეგმის დროულად შესრულებისათვის. ბრიგადული გაზეთების უმრავლესობის რედკოლეგიები უგეგმოდ მუშაობდენ. ზოგიერთ ბრიგადულ გაზეთში გაპარულან ზარმაცები, ისეთი პირები, რომელნიც კოლმეურნეთა შორის ავტორიტეტით არ სარგებლობენ. საკოლმეურნეო პარტუჯრედების მდივნების თათბირი, მოწვეული პოლიტგანყოფილების მიერ, არკვევდა ამ გამოკვლევის შედეგად წამოჭრილ ორ ძირითად საკითხს. **როგორ უნდა უხელმძღვანელოს პარტუჯრედმა კედლის გაზეთებს და როგორი უნდა იყოს კედლის გაზეთი კოლმეურნეობაში და პურის ჩაბარებაზე მომუშავე ბრიგადაში.** გარდა ამისა, ბრიგადული გაზეთების მუშაობა განხილულ იქნა კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების და აგრომმასახლისების თათბირზე, ე. ი. იმ პირთა თათბირზე, რომელთაც კედლის გაზეთის მუშაობაში პირადი მონაწილეობით შეუძლიათ მას ბევრი რამ მისცენ.

კოლმეურნეობათა ხელმძღვანელობის ასეთი დამუხტვის შემდეგ, პოლიტგანყოფილებამ და მისმა გაზეთმა „ბეზენჩუკსკი უდარნიკმა“ საკოლმეურნეო პარტუჯრედების შემწეობით ჩაატარეს სოფლკორების და კედლის გაზეთების რედკოლეგიების ჯგუფური და საკოლმეურნეო შეკრებანი. ცოცხალი და პოპულარული ფორმით, ბრიგადული გაზეთების კონკრეტულ მასალაზე რედკოლეგიებს გააცნეს, თუ მასობრივი მუშაობის როგორი ფორმები და მეთოდები უნდა გამოვიყენოთ, რომ კედლის გაზეთების მეშვეობით პურის ჩაბარების წარმატებით დამთავრებას მივაღწიოთ.

უახლოესი პერიოდისათვის საკოლმეურნეო კედლის გაზეთების მუშაობის ღერძია. მონაწილეობის მიღება მოსავლის განაწილებაში. ბრძოლა კიდევ უფრო მაღალი მოსავლისათვის მომავალ წელში. დიდი და პასუხსაგები სამუშაოა. მოხერხებულად უნდა განვუმარტოთ კედლის გაზეთებს, როგორ უნდა შეუდგენ ამ მუშაობას, საჭიროა პრაქტიკულად დავეხმაროთ მათ.

პოლიტგანყოფილების უფროსს ან პარტიულ-მასობრივი მუშაობის ხაზით მის მოადგილეს, პოლიტგანყოფილების გაზეთის რედაქტორს, სამანქანო-სატრაქტორო სადგურის აგრონომს შეუძლიათ გააცნონ რედკოლეგიებს და კიდევაც უნდა გააცნონ კედლის გაზეთის პოლიტიკური და პრაქტიკული ამოცანები მიმდინარე პერიოდისათვის.

მაგრამ მარტო ინსტრუქტაჟი როდია საკმარისი. მთავარი ის არის, რომ კედლის გაზეთები შევავსოთ საჭირო შინაარსით, გავხადოთ ისინი თვით კოლმეურნეთა კოლექტიური შემოქმედების ნაყოფი. უნდა ვასწავლოთ სოფლკორებს მართებულად დაალაგონ მასალა კედლის გაზეთების ფურცლებზე, ხელი ჩასჭიდონ ძირეულ რგოლებს, უფრო გაამახვილონ წარმოების საკითხების დასმა გაზეთში.

მართებულად არ იქცევიან ის გაზეთები, რომელნიც ამ ამოცანის გადაჭრას გამარტივებულად უდგებიან. დააგზავნიან ყველა კედლის გაზეთისათვის ერთნაირ ცნობარს სტანდარტულ თემაზე „რაზე და როგორ წერონ“. უმართებულოდ იქცევიან გაზეთის ის მუშაკებიც, რომელნიც ეხვევიან კედლის გაზეთის რედკოლეგიას, მასცემენ მრავალ კარგ რჩევა-დარიგებას და მითითებებს და... წავლენ. ხოლო როგორ მუშაობს შემდეგში კედლის გაზეთი, ეს მათ უკვე არ აინტერესებთ. ასეთ ზერელე, მეტინგურ მიდგომას კედლის გაზეთებისათვის ზიანი მოაქვს.

კედლის გაზეთების შინაარსი სხვანაირად უნდა გაუმჯობესდეს. თვალსაჩინოდ დავანახოთ მუშაობის ნიმუშები, უშუალოდ დავეხმაროთ კედლის გაზეთის გამოშვებაში, პირადად ვუჩვენოთ, თუ როგორ შეიძლება უმარტივესი სახვითი საშუალებებით (სათაურის გამოყოფით, მარტივი კარიკატურით და სხ.) მასალის გამოცოცხლება.

ცალკე კოლმეურნეობებში ვხვდებით 2-3 მეტრის სიგრძის და ფარშავანგის ბოლოსავით აჭრელებულ კედლის გაზეთებს. ასეთ გაზეთებს ჯანწყვეტით აკეთებენ ერთი კვირის და ხშირად უფრო მეტი ხნის განმავლობაში, ხოლო კედლებზე ისინი თვეობით არიან გამოკიდული. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ის კედლის გაზეთები, რომელნიც ცხოვრებას ჩამორჩებიან,—გაზეთები როდია.

ჩვენ გვესაჭიროება ახალი ტიპის საკოლმეურნეო კედლის გაზეთი და იგი უკვე არის —ესაა ზომით პატარა, აღმანთებელი, კლასობრივ მტერთან ბრძოლაში დაუზოგავი, შეძლებისდაგვარად, განსაკუთრებით კი დაძაბულ სამუშაოთა პერიოდში, ყოველდღიური გაზეთი.

ყოველი ასეთი საკოლმეურნეო და ბრიგადული გაზეთი შეიძლება გახდეს პოლიტგანყოფილების გაზეთის კოლექტიური კორესპონდენტი. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ კედლის გაზეთების რედკოლეგიები პოლიტგანყოფილების გაზეთის ფურცლებზე დამოუკიდებლად აყენებდენ საკოლმეურნეო ცხოვრების უმნიშვნელოვანეს საკითხებს. ძალიან კარგი იქნება ვუჩვენოთ რედკოლეგიებს კარგი კოლექტიური კორესპონდენციების ნიმუშები, ან პოლიტგანყოფილების გაზეთის რედაქციასთან მოვაწყოთ **კარგი წერილების და კორესპონდენციების გამოფენა.**

„სტალინსკი პუტმა“, ალექსიევსკის სამანქანო-სატრაქტორო სადგურის (ქვემო ვოლგა) პოლიტგანყოფილების გაზეთმა, სტატურად ჩაატარა თავის ფურცლებზე ბრიგადული კედგაზეთების მასალების გამოყენების ცდა მაგალითად, მე-17 ნომერში, სოცშეჯიბრებისადმი მიძღვნილ გვერდში, მან გადაბეჭდა შენიშვნები კედლის ხუთი გაზეთიდან. შენიშვნები ისეა შერჩეული, რომ შეადგენენ ბრიგადებში შეჯიბრების მსვლელობის ოპერატიულ ნაკრებ ცნობებს. საკოლმეურნეო და ბრიგადული გაზეთების მასალათა ასეთი გამოყენება შეიძლება ვურჩიოთ პოლიტგანყოფილებათა ყველა გაზეთს.

„პრავდა“-ს რედაქციისაგან

პოლიტგანყოფილებათა გაზეთების რედაქტორების შეკითხვასთან დაკავშირებით, „პრავდა“ იტყობინება, რომ წერილ-მიმოხილვების სერია „სამანქანო-სატრაქტორო სადგურების პოლიტგანყოფილებათა გაზეთების დასახმარებლად“ გამოცემული იქნება ცალკე ბროშურად უახლოესი 3—4 დეკადის განმავლობაში გეგმით დასახული თემების ამოწურვის შემდეგ.

„პრავდა“.

ხვნა-თესვის ყოველმხრივ დაჩქარებასთან ერთად შეუნელებელი ყურადღება მინდვრის სამუშაოთა ხარისხს

ლაგოდეხის რაიონი სუსტად იბრძვის ხვნათესვის ხარისხისათვის

(„კომუნისტი“-ს სპეციალური კორესპონდენტისაგან)

გასულ წელთან შედარებით ლაგოდეხის რაიონმა წელს საგრძნობ წარმატებებს მიაღწია საშემოდგომო ხვნა-თესვის გეგმის შესრულებაში.

თუ, მაგალითად, 1932 წლის 15 ოქტომბრისათვის საშემოდგომოდ მოხნული იყო 1124 ჰექტარი (გეგმის 11,3 პროცენტი), წელს 15 ოქტომბრისათვის მოხნულია 6.599,5 ჰექტარი (გეგმის 72,4 პროც.); გასულ წელს აღნიშნული რიცხვისათვის არც ერთი ჰექტარი არ იყო დათესილი, წელს 15 ოქტომბრისათვის პურეული (ხორბალი და ქერი) დათესილია 3.504 ჰექტარზე, რაც გეგმის 38,4 პროცენტს შეადგენს.

ეს იმის შედეგია, რომ კოლმეურნეობებმა და მშრომელმა ერთპიროვნულმა მეურნეობებმა რაიონის პარტიული, საბჭოთა, სამიწათმოქმედო ორგანიზაციების და პოლიტგანყოფილების მტკიცე ხელმძღვანელობით და უშუალო დახმარებით წარმატებით ჩაატარეს თამბაქოს შეტეხვის კამპანია და **დროზე** მოჰკიდეს ხელი საშემოდგომო სამუშაოებს.

გასულ წელთან შედარებით ხვნა-თესვის გეგმის შესრულების მაღალი მაჩვენებლების მიხედვით წელს საშემოდგომო ხვნა ლაგოდეხის რაიონში მაინც არადამაკმაყოფილებელი ტემპებით მიმდინარეობს. გეგმით ხვნა უნდა დამთავრებულიყო 15 ოქტომბერს, ამ ვადისათვის კი, როგორც თავში აღვნიშნეთ, ხვნის გეგმა შესრულებული იყო მხოლოდ 72,4 პროცენტით.

სექტორების მიხედვით ხვნა ასეთ სურათს გვაძლევს: კოლმეურნეობებს მოხნული აქვთ 5333 ჰექტარი (გეგმის 85,3 პროც.), მშრომელ ერთპიროვნულ მეურნეობებს—1184 ჰექტ. (გეგმის 45,5 პროც.) კულაკურ შეძლებულ მეურნეობებს—83 ჰექტ. მტკიცე დავალების 80,5 პროცენტი).

კოლმეურნეობებში ხვნის გეგმის შეუსრულებლობა ნაწილობრივ აიხსნება ტრაქტორების მუშაობის შეფერხებით. საწვავი მასალის უქონლობის გამო. მაგრამ ვერავითარი „ობიექტიური“ მიზეზებით ვერ გავამართლებთ ხვნის ჩამორჩენას ერთპიროვნულ მეურნეობებში.

რაიონში არიან კოლმეურნეობები, რომლებმაც 15 ოქტომბრისათვის დაამთავრეს საშემოდგომო ხვნა. ასეთ კოლმეურნეობათა რიცხვს ეკუთვნის სოფ. ვარდისუბნის საქ. კომკავშირის მეათე ყრილობის სახ. კოლმეურნეობა; სოფ. სვიდების კოლმეურნეობა „გლეხის შრომამ“ 14 ოქტომბრისათვის დაამთავრა როგორც ხვნა, ისე თესვა. ხვნა დაწესებულ ვადაზე დაამთავრა აგრეთვე სოფ. ჩადუნიანის კოლმეურნეობა „ოქტომბრის ქარიშხალმა“ და შრომის კოლმეურნეობა „დამკვრელმა“. ამასთან ერთად ჩვენ შევამოწმეთ ერთპიროვნული მეურნეები, რომელთაც 15 ოქტომბრისათვის ხვნათესვა არ ჰქონდათ დაწყებული, მიუხედავად იმისა, რომ თესვის მტკიცე გეგმა-განრიგი მათ თავის დროზე მიეცათ.

მაგალითად სოფ. ვარდისუბნის ერთპიროვნულ მეურნეს **ვალიკო ჯაფარიძეს** 15 ოქტომბრისათვის ხვნა არ ჰქონდა დაწყებული.

ამავე სოფლის ერთპიროვნულ მეურნეს **ჩიტო გოგოლაძეს** არც ხვნა ჰქონდა დაწყებული და არც სათესლე მასალა ჰქონდა გაწმენდილი და შეწამლული. **კოჭია ბრეგვაძემ** ხვნა მხოლოდ 14 ოქტომბერს დაიწყო.

ეს ფაქტები მოწმობენ, რომ ვარდისუბნის სას. საბჭოს არ ჩაუტარებია სათანადო ახსნა-განმარტებითი მუშაობა მშრომელ ერთპიროვნულ მეურნეთა შორის. ხვნის ვადები აშკარად დარღვეულია, ვარდისუბნის სას. საბჭო კი ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად არ ღებულობს გადამჭრელ ზომებს. ამის გამო ზემოდ აღნიშნული ერთპიროვნული მეურნეები თავს დამშვიდებით გრძნობენ.

მწკრივად თესვა ჩაშლილია

15 ოქტომბრისათვის კოლმეურნეობებს დათესილი ჰქონდათ პურეული 3192 ჰექტარზე (გეგმის 51 პროც.), მშრომელ ერთპიროვნულ მეურნეობებს—265 ჰექტ. (10,2 პროც.), კულაკურ-შეძლებულ მეურნეობებს — 47 ჰექტ. (მტკიცე დავალების 45,6 პროც.), სულ დათესილია 3504 ჰექტ., ანუ გეგმის 38,4 პროც.

კოლმეურნეობებს 3192 ჰექტარ დათესილ ფართობიდან მწკრივად თესვა ჩატარებული აქვთ მხოლოდ 791 ჰექტარზე. საქ. კ.პ.(ბ) ც.კ-ის და სახკომსაბჭოს დადგენილება კოლმეურნეობებში მწკრივად თესვის ჩატარების შესახებ აშკარად დარღვეულია. თესვა უმთავრესად პრიმიტიული წესით წარმოებს (ხელით მობნევით).

რაიონს აქვს სულ 49 სათესი მანქანა. გარდა ამისა, ყვარელიდან დამატებით მიიღეს 10 სათესი და საგარეჯოდან—20. **ამ ახლად მიღებული სათესი მანქანებიდან დღემდე არც ერთი არ მუშაობს, ნაწილების უქონლობის გამო.**

როგორც რაიმიწგანის გამგემ ამხ. ადიკაშვილმა განაცხადა, საგარეჯოდან გამოგზავნილი სათესების დარჩენილი კომპლექტი გზაში დაიკარგა (!).

აღსაშფოთებელია ის გარემოება, რომ იმ 49 სათესიდან, რომელიც რაიონს აქვს, ყველა არ მუშაობს სრული დატვირთვით. ამ სათესი მანქანებიდან ნაწილი მომზადებული არ იყო. თესვისათვის. სამ. სატ. სადგურს (დირექტორი პივნევი) და რაიმიწგანს თესვის დაწყებამდე უნდა ეზრუნათ სათესი მანქანების წესრიგში მოყვანაზე, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ზოგიერთ კოლმეურნეობებში თესვის დაწყების შემდეგაც კი სათესი მანქანები ნაწილების უქონლობის გამო უმოქმედოთ იყო გაჩერებული.

მაგალითად სოფ. ვარდისუბნის საქ. კომკავშირის მეათე ყრილობის სახ. კოლმეურნეობა თესვას 27 სექტემბრიდან შეუდგა. სათესი მანქანა კი, რომელიც მათ ჰქონდათ, მხოლოდ 6 ოქტომბერს აამუშავეს. ორი დღის მუშაობის შემდეგ ეს მანქანა გაფუჭდა. კოლმეურნეობამ კვლავ ხელით განაგრძო თესვა.

სოფ. შრომას კოლმეურნეობა „დამკვრელს“ 13 ოქტომბრისათვის ხელით დათესილი ჰქონდა 9 ჰექტ. ხოლო სათეს მანქანით მწკრივში—6 ჰექტარი, ბაისუბნის სას. საბჭომ 14 ოქტომბრისათვის დაამთავრა პურეულის თესვა 550 ჰექტარზე, აქედან, მწკრივად თესვა (სათესებით) ჩატარებული ჰქონდა მხოლოდ 10 ჰექტარზე.

მწკრივად თესვის შეუფასებლობას გადაჭრით უნდა მოეღოს ბოლო. ამ საქმის ჩამშლელებს სასტიკი პასუხი უნდა მოეთხოვოს.

მიწები არ იწმინდება

ეს ითქმის ყველა კოლმეურნეობა თითქმის ყველა კოლმეურნეობაში გამოყოფილია ხარისხის შემოწმებელი ინსპექციები და აგრომმასახლისები, რომელთა მუშაობას სისტემატიურ კონტროლს უწევს პოლიტგანყოფილება. აღნიშნული ინსპექციების მუშაობამ კოლმეურნეობებში დიდი ნაყოფი გამოიღო. ისინი ამოწმებენ ხვნისა და თესვის ხარისხს, ადგენენ აქტებს და თუ სადმე აღმოჩნდება ცუდი ნამუშევარი—ბრიგადას აიძულებენ გამოასწორონ ნაკლი. ასეთ ფაქტს შევხვდებით სოფ. ვარდისუბნის საქ. კომკავშირის სახ. კოლმეურნეობაში, სოფ. ჩადუნიანის, შრომას და სხვა სოფლის კოლმეურნეობებში.

მაგრამ მარტო ეს არ სწყვეტს ხვნა-თესვის ხარისხის საკითხს. მთავარია ის, რომ ლაგოდეხის რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში ხნული გაწმენდილი არ არის სიმინდისა და მზესუმზირას ღეროებისა და ძირებისაგან, სარეველა ბალახებისაგან. გარდა ამისა, ნაკვეთები გასუფთავებული არ არის კუნძებისაგან.

სიმინდისა და მზესუმზირას ღეროებისა და მრავალწლიან სარეველა ბალახებისაგან ხნულის გასაწმენდათ ლაგოდეხის რაიონში პრაქტიკულად არავითარი ღონისძიებები არ ტარდება. ხვნა სწარმოებს გაუწმენდავ ნაკვეთებზე.

ამრიგად, ლაგოდეხის რაიონში ადგილი აქვს ხვნა-თესვის გეგმების **რაოდენობრივი მაჩვენებლების შესრულებისადმი გამოდევნებას, ხარისხს, კი აქ ნაკლები ყურადღება ექცევა.**

ლაგოდეხის რაიონის პარტიულმა საბჭოთა ორგანიზაციებმა და სამ. სატრაქტორო სადგურმა ხვნა-თესვის ტემპების გადაჭრით გაძლიერებასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ გეგმების ხარისხობრივ მაჩვენებლების შესრულებას.

მწკრივად თესვაში არსებული სამარცხვინო მდგომარეობის გაგრძელება ყოვლად შეუწყნარებელია. ვიდრე ჯერ კიდევ გვიან არ არის, გადამჭრელი ზომები უნდა იქნეს მიღებული სათესი მანქანების ასამუშავებლად და სრული დატვირთვით გამოსაყენებლად.

რაიონის პარტიული, საბჭოთა ორგანიზაციების და სამ. სატრაქტორო სადგურის მუშაობა შეფასებული იქნება იმის მიხედვით, თუ როგორ იბრძოდენ ისინი ხვნა-თესვის მაღალი ხარისხისათვის.

ვ. მთვრალაშვილი

საგარეჯოს რაიმიწგანის გამგის სამუშაოდან მოხსნის შესახებ

საქ. მიწსახკომის 1933 წლ. 17 ოქტომბრის დადგენილება

1. მოიხსნას თანამდებობიდან საგარეჯოს რაიმიწგანის გამგე ამხ. ვ. შენგელია—იმის გამო, რომ მან არ შეასრულა საქ. მიწსახკომის კოლეგიის ა-წ. 3 აგვისტოს დადგენილება სამანქანო-სატრაქტორო სადგურის პოლიტგანყოფილებათა განკარგულებაში შრომის ორგანიზატორ-ინსტრუქტორების მივლინების შესახებ.

2. ეს დადგენილება გამოქვეყნდეს პრესაში.

საქ. მიწათმოქმედების სახკომი შ. მათიკაშვილი

საშემოდგომო ხვნა თესვა 15 ოქტომბრისათვის

(საქ. მიწსახკომის ცნობები)

15 ოქტომბრისათვის საშემოდგომოთ მოხნული იყო 170.707 ჰექტარი (გეგმის 62,9 პროც.), ხოლო თესვა ჩატარებული იყო 103.709 ჰექტარზე, რაც რესპუბლიკანური გეგმის 38,2 პროცენტს შეადგენს. ხვნის გეგმა შესრულებულია 62,9 პროცენტით!

კოლმეურნეობებს დათესილი აქვთ 37912 ჰექტარი (გეგმის 44,3 პროცენტი), **საბჭოთა მეურნეობებს** 5567 ჰექტ. (37 პროც.) და ერთპიროვნულ მეურნეობებს — 60230 ჰექტ. (გეგმის 35,1 პროცენტით. რაიონების მიხედვით ხვნა-თესვის გეგმის შესრულება ასეთ სურათს გვაძლევს:

რაიონები	ხვნის გეგმის შესრულება %-ში	თესვის გეგმის შესრულება %-ში
ახალქალაქის	100	82,4
ახალციხის	92,9	61,6
ადიგენის	80,6	21,6
ტოლოშის	100,0	13,9
სტალინისის	34,2	34,2
გორის	86,6	63,5
კასპის	72,7	55,6
ბორჯომის	—	—
გურჯაანის	28,7	8,2
სიღნაღის	73,6	50,0
თელავის	30,1	11,1
ყვარელის	17,4	8,4
ლაგოდეხის	69,7	36,8
ტფილისის	84,2	54,4
ყარაიას	85,8	28,5
ბორჩალოს	56,6	10,8
ლიუქსემბურგის	82,9	—
დუშეთის	82,8	82,8
ალბ.-მანგლისი	81,2	22,6
გარე-კახეთის	76,9	60,0
ბაშკიჩეთის	108,6	94,7
ერწო-თიანეთის	92,9	70,7
სამხრეთ-ოსეთი	50,9	18,9
ქუთაისის	81,3	81,5
სამტრედიის	14,4,	14,4
ხონის	25,5,	25,5
ვანის	—	—
ჭიათურის	46,6	46,6
ონის	27,6	27,0
ამბროლაურის	44,1	4,4
ცაგერის	51,8	51,8
აფხაზეთი	26,0	26,0

საქ. მიწსახკომის ცნობით 15 ოქტომბრისათვის ხვნა-თესვის მიმდინარეობის შესახებ ცენტრში ცნობები არ წარმოუდგენიათ **სენაკის, ზუგდიდის, ოზურგეთის და ზემო-სვანეთის** რაიონებს.

აჭარისტანმა საშემოდგომო თესვის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა.

გ. ქუჩიშვილი

საბჭოთა კოლხეთს

დიდი ხანია გნატრობდი და,
მეღირსა, გნახე,
მხარევ, შრიალა ზღვა-სიმინდთა
და ვაზიანო!
ისე შეგცვლია მშენებლობით
ნაზ-ნაზი სახე,
რომ ძლივსღა გცანი,
იმერეთო, თავაზიანო!
სადღაა: შენი იდილია
და მყუდროება,
სადღა არიან: ჩოხოსნები—
ლეკურ-სატევრით?
გამქრალან,
როგორც გაჰქრა მათი
ფუჭი დროება:
ფუქსავატობით, მლონარობით,
მიმინო - მწევრით!
შენც, ქუთაისო,
წარსულში თუ გარემო შენი
იყო ქცეული
ფეოდალურ „სალხინო ბაღად“,—
დღეს მშენებლების და ქარხნების
უბნები გშვენის,
რიონჰესი რომ
თავს გადგია
ანთებულ თაღად!
რაღა ფასი აქვს
დრომოჭმულთა
გასართობ ზღაპრებს:
არგონავტებზე,
ოქროს ვერძზე,
თუ იაზონზე,—
როცა რიონი
ბორნის ნაცვლად
ჰშლის გემთა აფრებს
და შორიანელი კაპიტანი
მღერის რიონზე!
ჰოი, კოლხეთო,
დიდ ეპოქის
შეაღე კარი,
და მოგუგუნე
ინდუსტრიის
ცეცხლი გედება;
თვით ჩემი ლექსის
თვითეული
სიტყვა თუ ჰწკარი
შენსავე ცეცხლში
იბადება და იჭედება!
თქვენ,
ვინც რიონი
დაიპყარით
მკლავების სალტით,
რომ ამახურეთ
მრეწველობის
დავაქკაცებას;
ვინც ქუთაისი
დაამშვენეთ
დუღაბ - ასფალტით, —
ჰიმნი!
სალამი!
ვაშა!
ტაში!
და ალტაცება!!!
ქ. ქუთაისი.
1933 წ. ოქტომბერი.

აფხაზეთმა შეასრულა თამბაქოს აღების გეგმა

სოხუმი, 19 ოქტომბერი (ტელეგრაფით). მიუხედავად არახელსაყრელი კლიმატიური პირობებისა, მუშაობის სწორი ორგანიზაციის შედეგად, დაზუსტებული ცნობების მიხედვით, აფხაზეთის მშრომელებმა აგროწესების მტკიცე დაცვით, თამბაქოს შეტეხვა 15 ოქტომბრისათვის დაამთავრა.

15 ოქტომბრისათვის მთლიანად აღებული იქნა დაუსრულებელი წვიმების შედეგად დარჩენილი თამბაქოს ნარჩენები.

სახელმწიფოსათვის თამბაქოს საუკეთესო ხარისხის ჩაბარების მიზნით, აღების მთელს პროცესში არ იყო, დაშვებული მოუმწიფებელი თამბაქოს შეტეხვა, ადგილი არ ქონია თამბაქოს ფოთლის გადამწიფებას.

ამჟამად მთელი ჩვენი ყურადღება გადატანილია თამბაქოს დამზადებაზე.

აფხაზეთის ცაკის თავმჯდომარე — **ლაკობა.**
საქ. კ.პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტ. მდივ. **ლადარია.**

აგარის შაქ. ქარხ. დაიწყო შაქრის გამომუშავება

აგარა, 18 ოქტომბერი. 18 ოქტომბერს დილის 3 საათიდან დაიწყო მუშაობა ამხ. ლ. ბერიას სახელობის აგარის შაქრის ქარხანამ. აგრეგატები კარგად მუშაობენ.

ქარხნის შეუფერხებლად მუშაობის უზრუნველსაყოფად, გაძლიერებული ტემპით წარმოებს სათადარიგო (მეორე) ტურბინის რემონტი.

პირველ შაქარს მოელიან 20 ოქტომბერს.

მიმდინარე წელს ქარხანამ უნდა გადაამუშაოს 322 ათასი ცენტნერი ჭარხალი—ხუთჯერ მეტი ვიდრე გასულ წელს. გამომუშავებულ იქნება 46.600 ათასი ცენტნერი შაქარი.

ფერო-გიგანტი ამუშავების წინ

ზესტაფონის ფერომარგანეცის ქარხანა. მარჯვნიდან მარცხნივ—1) სადუმელე კორპუსი, 2) ღუმელები მონტაჟის დამთავრების წინ, 3) ელექტრო-ქვესადგურიშიგნიდან.

ზესტაფონის ფერო-მარგანეცის ქარხანა

საქართველოს მარგანეცის მადნების ბაზაზე ფერომარგანეცის წარმოების საკითხი შეიძლებოდა გადაჭრილიყო პრაქტიკულად მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ვინაიდან უცხოეთის კაპიტალი, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა საქართველოს მარგანეცის მრეწველობაში მიზნად ისახავდა ჯერ ერთი, უზრუნველეყო ფერომარგანეცის უცხო ელმწარმოებლებისათვის საშუალება მიეღოთ ჭიათურიდან იაფი ნედლეული და მეორე — არ დაეშვათ ფერომარგანეცის საკონკურენტო წარმოება საქართველოში.

საბჭოთა ხელისუფლებამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ფერომარგანეცის წარმოებას. ამ საკითხის შესასწავლად შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობდენ ადგილობრივი და უცხოელი თვალსაჩინო სპეციალისტები.

კომისიის მუშაობის შედეგად შეგროვილ იქნა მრავალი ძვირფასი მასალა, რომელიც საფუძვლად დაედვა საქართველოში ფერომარგანეცის წარმოების ორგანიზაციის საკითხების შემდგომ დამუშავებას.

1925 წელს ჭიათურის მარგანეცის რაიონი გადაეცა კონცესიონერ ჰარიმანს; ამიტომ ფერომარგანეცის კომისია გაუქმებულ იქნა და მხოლოდ კონცესიონერის წასვლის შემდეგ—1928 წლის ივლისში საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო შეუდგა ფერომარგანეცის ქარხნის აშენების იდეის პრაქტიკულად განხორციელებას.

მთელი მოსამზადებელი მუშაობის უშუალო ხელმძღვანელობა დაეკისრა საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმთან არსებულ მარგანეცის მრეწველობის საპროექტო ბიუროს.

საპროექტო ბიუროს მიერ ჩატარებულმა მუშაობამ საჭირო გარკვეულობა და სიზუსტე შეიტანა საქართველოს ფერომარგანეცის პრობლემაში და მოგვცა მთელი რიგი ძვირფასი და ფასეულ პრაქტიკული მითითებანი, რომლებიც გამოყენებულ იქნა ქარხნის შემდგომი დაპროექტების დროს. 1930 წლის თებერვალში მოეწყო ფერომარგანეცის ქარხნის მშენებლობის სამმართველო, რომელიც პრაქტიკულად შეუდგა დასავლეთ საქართველოში — ზესტაფონში ფერომარგანეცის ქარხნის მშენებლობის განხორციელებას.

წყლის უდიდესი ენერგეტიკული რესურსების არსებობა საქართველოში და მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებლები, რაიც მდინარეთა დასავლეთის და აღმოსავლეთის ნაწილების რეჟიმის განსხვავებით აიხსნება და რაც იმის საშუალებას იძლევა, რომ ადვილად მოვაწყოთ მძლავრი ჰიდრო-ცენტრალების ჯგუფი, წყვეტს, მუდმივი, იაფი ელექტროენერგიის ბაზაზე, ენერგოტევადი საწარმოების მუშაობის საკითხს.

ბუნებრივია, რომ მძლავრი ენერგეტიკული ბაზა ხელს უწყობს საერთოდ ყველაზე უფრო ენერგოტევადი საწარმოების, და კერძოდ ელექტრომეტალურგიის, განვითარებას, რომლის წარმატებით ზრდა შესაძლებელია მხოლოდ იაფი ელექტროენერგიის დიდი რესურსების არსებობის პირობებში. ითვლება რა საბოლოო პროდუქციის კალკულაციის ძირითად ელემენტად, ენერგიის ღირებულება წარმოადგენს მრეწველობის ამ დარგის განაწილების გადამწყვეტ ფაქტორს.

ის გარემოება, რომ საქართველო მდიდარია ჰიდრო - ენერგეტიკული რესურსებით და ენერგიის ღირებულება უფრო დაბალია, ვიდრე ფეროშენადნობის მრეწველობის უკვე არსებულ რაიონებში (დნეპრი, ჩელიაბინსკი), იმის ძირითადი წინამძღვარია, რომ მოეწყოს აქ ფეროშენადნობის წარმოება, რომელიც შეიძლება უზრუნველვყოთ არა მარტო იაფი ენერგიით, არამედ ადგილობრივი იაფი ნედლეულითაც.

მთელი მსოფლიოსათვის ცნობილია ჭიათურის რაიონის მაღალხარისხოვანი მარგანეცის მადნის მდიდარი საბადოები, რომლებიც მდებარეობენ ზესტაფონის ქარხნის მახლობლად და რომელთა მარაგიც, სტოკჰოლმში შემდგარ საერთაშორისო გეოლოგიური კონგრესის დაზუსტებული ცნობების მიხედვით, უდრის 146,5 მილიონ. ტონას, ეს გარემოება განსაკუთრებით ხელსაყრელ პირობებს უქმნის ზესტაფონის ქარხანას მაღალი ხარისხის პროდუქციის გამოსაშვებად.

ასეთსავე განსაკუთრებულ ხელსაყრელ პირობებში იმყოფება ზესტაფონის ქარხანა სხვა სახის ნედლეულის მხრივაც, როგორიცაა: ქვანახშირი, კირქვა და რკინის მადანი.

შიხტას მისამაგრებლად საჭირო კირქვა, რომელიც შეიცავს ფოსფორის მინიმალურ რაოდენობას, ბლომად მოიპოება მოწამეთის და კვახჩირის მდიდარ საბადოებში, რომლებიც ზესტაფონის ახლო სხვადასხვა ადგილას მოიპოება (არა უშორეს 35 კილომეტრისა).

მუშათა ქალაქი — ფერომარგანეცის ქარხანასთან.

შავი ზღვის ნაპირის გასწვრივ მოიპოება მაგნიტური სილის უმდიდრესი საბადოები, რომლებიც გადაჭიმულია ნატანებ - გაგრის უბანზე. ის გარემოება, რომ სილის ამოღება ადვილია ამოსაღები მანქანით, რომ არსებობს სველი მაგნიტური სეპარაციით უზრუნველყოფის შესაძლებლობა, საბადოებიც ახლოა ზესტაფონთან (60 კილომეტრი), — უზრუნველყოფს ქარხანას იაფი და კარგი მადნით.

ზესტაფონის ქარხანა უზრუნველყოფილია იაფი და რეგულირებული მუდმივი ელექტროენერგიით; მას 30 კილომეტრის მანძილზე ახლავს ჭიათურის მაღალხარისხოვანი მარგანეცის უმდიდრესი საბადოები; მის ახლოს მოეპოება ყოველგვარი სახის იაფი და მაღალხარისხოვანი ნედლეული, რომელიც ამცირებს ტვირთზიდვას და საჭიროდ არ ხდის შემხვედრ გადაზიდვას, იგი ახლოსაა ბათომის და ფოთის ნავთსადგურებთან; გორ-დარგკოხის საუღელტეხილო რკინის გზის მშენებლობასთან დაკავშირებით, მანძილი შემცირდება 1300 კილომეტრით, ყველაფერი ეს ქმნის ამ ქარხანაში ფერომარგანეცის წარმოების განვითარების ყოველგვარ ეკონომიურ წინამძღვრებს და იმის პირობებს, რომ საბჭოთა მეტალურგიას ამ ქარხანამ იაფი და მაღალი ხარისხის ფეროშენადნობი მიაწოდოს, აგრეთვე თავისი პროდუქციის ექსპორტი მოაწყოს.

აღნიშნულ დებულებათა თვალსაზრისით და იმის გამო, რომ ზუსტადაა გამორკვეული საბჭოთა კავშირის მრეწველობის მოთხოვნილება ფერო-მარგანეცზე, შედგენილ იქნა ზესტაფონის ქარხნის პროდუქციის ფიზიკური მოცულობის გეგმა მეორე ხუთწლედისათვის.

მთელ განსხვავებას საბჭოთა კავშირის მხრივ ფერომარგანეცზე მეორე ხუთწლედში მოთხოვნილებებსა და დნეპრის შენადნობის პროდუქციის მოცულობას შორის საექსპორტოდ ნავარაუდევ ოდენობასთან ერთად ხუთწლედის უკანასკნელი წლების განმავლობაში დაფარავს ზესტაფონის ქარხანა, რომელსაც ამისთვის მოეპოება ყოველგვარი საწარმოო შესაძლებლობა.

საქართველოში ფერომარგანეცის წარმოების შექმნის დიდი პრობლემის რაციონალურად გადაჭრის მიზნით, საქართველოს და ამიერ-კავკასიის ორგანიზაციების ინიციატივით ტფილისში 1930 წელს აგებულ იქნა ფერომარგანეცის საცდელი ქარხანა.

მთელმა რიგმა საცდელმა მუშაობამ, ჩატარებულმა ამ ქარხანაში ადგილობრივი ნედლი მასალის გამოყენებით, უაღრესად დადებითი შედეგები მოგვცა, და ამან დიდი გავლენა იქონია საქართველოში ფერომარგანეცის ქარხნის შემდგომი ორგანიზაციის საქმეზე.

ცდებმა დაადასტურა, რომ არამც თუ შესაძლებელია შემოტანილი დონეცის კოქსის ნაცვლად, ადგილობრივი ტყიბულის ნედლი ქვანახშირით მუშაობა, არამედ ისიც, რომ დიდი უპირატესობა აქვს სწორედ ამ ალმდენელის გამოყენებას. იგი დენის მოხმარების საგრძნობ შემცირებას იძლევა კოქსთან შედარებით.

სავსებით მიზანშეწონილი აღმოჩნდა გამოვეყენებია შიხტად გამომწვარი კირის ნაცვლად, მოწამეთის ადგილობრივი კირაქვა და ისიც ენერგიის ხარჯვის გაუდიდებლად.

საცდელ ქარხანაში ჩატარებული მუშაობის შედეგად გამოირკვა, რომ ერთის მხრით იგი საგრძნობლად ამცირებს პროდუქციის თვითღირებულებას (კოქსის შეცვლა ტყიბულის ქვანახშირით, კირის შეცვლა კირაქვით), ხოლო მეორე მხრით საგრძნობლად ამარტივებს და ასეული ათასი მანეთით აიაფებს თვითქარხნის მშენებლობას (საჭირო აღარ შეიქნა კირის ქარხნის აშენება, საგლომერაციო ფაბრიკის აგება და სხვ.).

ამას გარდა, ტფილისის საცდელ ქარხანაში შეიქმნა ახალგაზრდა ინჟენერ - ტექნიკურ ძალთა მჭიდრო, ენერგიული კოლექტივი და მუშათა სათანადო კადრი, რაც სავსებით უზრუნველყოფს ქარხნის ამუშავებას ძირითად საწარმოო ბირთვით.

ზესტაფონის ქარხნის სრული საპროექტო სიმძლავრე 18 ღუმელის მუშაობის დროს ნავარაუდევია 150 ათასი ტონა პროდუქციისათვის წელიწადში. სრული სიმძლავრიანი ქარხნის საერთო ღირებულება, გაერთიანება „სპეცსტალისა“ და მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის მეტალ. მრეწვ. მთავარ სამმართველოს მიერ 1933 წელს დამტკიცებული გენერალური ხარჯთაღრიცხვის თანახმად, უდრის 58 მილიონ მანეთს. 1931, 1932 და 1933 წლებში დახარჯულია 27 მილიონი მანეთი.

ქარხნის სრული სიმძლავრით მუშაობის დროს საწარმოებში დაახლოებით იმუშავებს 150 საინჟენერო - ტექნიკური მუშაკი, 120 კვალიფიციური მეტალურგი და 1800 მუშა ყველა დამხმარე საამქროში. სოცქალაქში იქნება დაახლოებით 10.000 მცხოვრები.

ქარხნის მშენებლობა განზრახულია ჩატარდეს თანდათანობით, ერთის მხრით იმის გამო, რომ საჭიროა უზრუნველყოფილ იქნას მეორე ხუთწლედის ცალკე წლების მიხედვით დაგეგმილი პროდუქციის გამოშვება, მეორე მხრით იმიტომ, რომ მხედველობაში უნდა მივიღოთ საქართველოს ელსადგურთა ჯგუფის ენერგეტიკული შესაძლებლობანი. ფერომარგანეცის ქარხნის შემდგომი განვითარება და მისი აყვანა სრულ სიმძლავრემდე შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს ჰიდრო სადგურების მშენებლობის შემდგომი განვითარების პირობებში.

ამჟამად ქარხანა იწყებს მუშაობას სიმენსის ფირმის სამი სამფაზიანი ღუმელით; თვითეული ღუმელის სიმძლავრე 7500 კილოვატი.

ყველა სატრანსპორტო დანადგარი, ბუნკერები, მთავარი კონვეიერები, განივი ტრანსპორტები, სამსხერევი სამქრო და სხვ., რომლებიც ნავარაუდევია ქარხნის სრული სიმძლავრისათვის, უკვე აშენებულია და არ ესაჭიროება შემდგომი გაფართოება. ძირითადი კაპიტალის მთელი დაპროექტებული ღირებულებიდან, საცხოვრებელი ფონდის გამოკლებით. 75 პროცენტი თითქმის უკვე დახარჯულია წელს. ამის გამო მზა პროდუქციის ღირებულება ექსპლოატაციის პირველ წლებში რამდენამდე გადიდებულია და პროდუქციის ღირებულება საგრძნობლად დაიწევს ბრძმედის ფერომარგანეცის ღირებულებასთან შედარებით, მხოლოდ მას შემდეგ, რაც ქარხანა აყვანილი იქნება სრულ საპროექტო სიმძლავრემდე.

ამჟამად სამივე ელექტროღუმელი დამონტაჟებული და გამოცდილია უქმი სვლით. დამონტაჟებულია მთავარი ქვესადგური. სამტვრევი ცეხი, ამწე სამივე სატრანსპორტო ნაგებობა მთლიანად დამონტაჟებული და გასინჯულია უქმი სვლით. დამთავრდა წყალსადენის აგება. დამთავრდა შორაპანზესტაფონის ქარხნის ვიწრო ლიანდაგიანი რკინის გზის გაყვანა, რაც საშუალებას მოგვცემს მივიტანოთ მარგანეცის მადანი უშუალოდ სამადნოებიდან ქარხანაში ისე, რომ არ მოხდეს მისი გადატვირთვა ფართოლიანდაგიან გზაზე. დამთავრდა შინასაქარხნო ლიანდაგების დაგება და დაიწყო ნედლი მასალის და ჩვენ მიერ ავსებულ მთავარი განსატვირთავი ბუნკერების მოზიდვა.

ქარხნის პირველი რიგისათვის, 3 ღუმელის მუშაობის დროს, აშენებულია სამი სახლი, აქედან 2 სახლი (თითო 67 ოთახიანი) უცოლშვილოებისათვის, ორი სახლი (თითო 32 ოთახიანი) ცოლშვილიანი მუშებისა და ადმინისტრატიულ - ტექნიკური პერსონალისათვის და ორი სახლი (რვა-რვა ბინიანი) ოჯახის მრავალ წევრებიან მუშებისა, ინჟინერ - ტექნიკური მუშაკებისა და ადმინისტრატიული პერსონალისათვის.

აშენებული და საექსპლოატაციოდ გადაცემულია კლუბი, სასადილო, აბანო, პურის საცხობი და მთელი რიგი სხვა კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებანი.

იმ მუშების, ინჟენერ-ტექნიკოსთა მუშაკების და მთელი პერსონალის დიდი ენტუზიაზმის წყალობით, რომლებიც კომპარტიის ნაცადი და მტკიცე ხელმძღვანელობით დაულალავად იბრძოდენ ჩვენი ბელადის ამხ. სტალინის ექვსი მითითების შესრულებისათვის, დამთავრდა ზესტაფონის ფერო-მარგანეცის ქარხნის პირველი რიგის სამუშაოები. ფერო გიგანტის სამი ღუმელის ამუშავება ჩვენი უდიდესი გამარჯვებაა ინდუსტრიალიზაციის ფრონტზე. ზესტაფონის ფერომარგანეცის ქარხანა უზრუნველყოფს საბჭოთა კავშირის ფოლადის მრეწველობის მაღალ ხარისხოვანი შენადნობით, რათა კიდევ უფრო განამტკიცოს ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალური ძლიერება და თავდაცვის უნარი.

ფერომარგანეცის ქარხ. და მშენებლობის დირექტორი—კალანდაძე

ფეროშენის იზოტოვი ამხ. მიშა გურული

მრავალი დამკვრელია ფერომარგანეცის ქარხნის მშენებლობაზე, მაგრამ მიშა გურული მოწინავეა მოწინავეთა შორის.

ამხ. გურულს 7 წლის საწარმოო სტაჟი აქვს. ფერომარგანეცის ქარხნის მშენებლობაზე მუშაობს მშენებლობის დაწყების პირველ დღიდანვე.

იგი ჯერ მუშაობდა მუშათა საცხოვრებელ ბინების მშენებლობაზე,

შინა-საქარხნო გზების დამკვრელი კომკავშირელი ბრიგადირი ამხ. მიშა გურული.

ეხლა კი მუშაობს შინა-საქარხნო გზებზე, რომელიც მშენებლობის მნიშვნელოვანი ობიექტია და მის დამთავრებაზე დიდათ არის დამოკიდებული ქარხნის ამუშავება.

გურული მერვე თვეა, რაც ბრიგადის ხელმძღვანელად ითვლება. გურულის ბრიგადა, სადაც გაერთიანებულია 11 კაცი, გეგმებს ყოველთვის გადაჭარბებით ასრულებს. ბრიგადამ პირველი კვარტალის გეგმა 227 პროცენტით შეასრულა, მაისის გეგმა—186 პროცენტით და ივნისის პირველი ნახევრის—კი—243 პროცენტით, თვით გურული პირადად, ყოველდღიურ დავალებებს 190—250 პროც. ასრულებს. ბრიგადირის ასეთი დამკვრელური მუშაობა სათანადო გავლენას ახდენს ბრიგადის წევრებზე და ზრდის მათში შრომის ენტუზიაზმს.

აღნიშნულ ობიექტზე მუშაობს ნებიერიძის, ქათამაძის და სხვათა დამკვრელი ბრიგადები, მაგრამ გურულის ბრიგადას ჯერ ვერ გაუსწორდა ვერც ერთი მათგანი. გურულის ბრიგადამ, სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია ქათამაძის ბრიგადა, შეჯიბრების შედეგების შემოწმებამ ცხადჰყო, რომ გურულის ბრიგადას ქათამაძის ბრიგადასთან შედარებით, გეგმა ყველა მაჩვენებლების მიხედვით 45 პროც. გადაჭარბებით შეასრულა.

ეს იმით აიხსნება, რომ მთელი ბრიგადა დაეუფლა მუშაობის ტექნიკას. თვით გურული სამუშაოზე ცხადდება ბრიგადის წევრებზე 10—15 წუთით ადრე და ამ ხნის განმავლობაში იგი ამზადებს ყველა პირობებს, რათა ბრიგადამ მოსვლისთანავე შეუფერხებლად იმუშაოს.

მოვუსმინოთ თვით ამხ. გურულს:

„ჩვენი ბრიგადის წარმატება მთელი ბრიგადის და მისი თვითეული წევრის წესიერი მუშაობის შედეგია. სანამ მუშაობას დავიწყებდეთ, ჩვენ წინასწარ ვითვალისწინებთ იმ სამუშაოს ხასიათს, რომელიც ბრიგადამ უნდა შეასრულოს. მე შესწავლილი მაქვს თვითეული ბრიგადის წევრის ფიზიკური შესაძლებლობა, და სამუშაოს ვანაწილებ ამის მიხედვით. უფრო გამოცდილ და ფიზიკურად ამტანა ამხანაგებს ვაყენებ მიწის თხრაზე. ნაწილს ვაგონეტებს ვავსებინებ, ნაწილს ვანდობ სავსე ვაგონეტების გაგორებას და ნაწილსაც ვაყენებ მიწის მოსწორებაზე. ჩვენ წინასწარ გამზადებული გვაქვს ყველა ის საწარმოო იარაღი, რომელიც გვჭირდება მუშაობის პროცესში. ყოველი სამუშაო იარაღი გაპარონებულია და ბრიგადის თვითეული წევრი პასუხისმგებელია მისთვის ჩაბარებულ სამუშაო იარაღისათვის. ბრიგადის წევრებს შორის არის სრული ამხანაგური დამოკიდებულება“. ბრიგადის თვითეული წევრი მტკიცედ იცავს შრომის დისციპლინას. 1-ლი იანვრიდან დღემდე სამუშაოზე ბრიგადის არც ერთი წევრს არ დაუგვიანებია. არა აქვს ადგილი სამუშაოს უმიზეზოთ გაცდენას. ყოველივე ამის გამო, ბრიგადის წევრთა პირობებიც გაუმჯობესდა. თუ თანრიგით თითო მუშამ დღეში უნდა მიიღოს 4 მან., ფაქტიურად ღებულებენ 9—11 მანეთამდე.

ამხ. მ. გურული ნიკიტა იზოტოვის ტიპის მუშაა, რომელიც თავის ცოდნას უზიარებს ამხანაგებს. გურულით ამაყობს მისი ბრიგადა, ხოლო ბრიგადით—კი საერთოდ მთელი მშენებლობა.

გურულის ბრიგადის გამოცდილება უნდა გადაიტანონ ჩამორჩენილებმა, ბრიგადებმა.

ვ. გოგიაშვილი

ფეროშენადნობები

ზესტაფონის ფერ-ომარგანეცის ქარხნის ამუშავების გამო

დამთავრდა ზესტაფონის ფერომარგანეცის ქარხნის პირველი რიგის მშენებლობა და იწყება მისი ექსპლოატაცია. ქარხანას დიდი საკავშირო მნიშვნელობა აქვს. საქართველოსთვის კი იგი წარმოადგენს პირველ მსხვილ ინდუსტრიალურ საწარმოს.

ფერომარგანეცი ფეროშენადნობთა ერთ-ერთი უმთავრესი სახეა. იგი საჭიროა მეტალურგიაში, როგორც ჩვეულებრივი რკინის და ფოლადის მისაღებად, ისე ხარისხოვანი ლეგირებული ფოლადების მისაღებად.

თანამედროვე ინდუსტრია, განსაკუთრებით, საბჭოთა კავშირის მრეწველობა, რომელმაც მაღალ ტექნიკურ დონეს მიაღწია, მოითხოვს უამრავ სპეციალურ ხარისხოვან და მაღალხარისხოვან ფოლადებს. უამისოდ ვერ განვითარდება მანქანათმშენებლობა, საავტომობილო და სატრაქტორო მრეწველობა და თვითმფრინავთა მშენებლობა. ლეგირებული ფოლადები საშუალებას გვაძლევს წონაში ეკონომიის მიღწევის გზით უფრო მსუბუქი გავხადოთ კონსტრუქციები (ბრძოლა მანქანების ზედმეტი წონის წინააღმდეგ) და მივიღოთ უფრო მძლავრი მექანიზმები მუშაობის თვალსაჩინოდ დაჩქარებისა და გაძლიერებისათვის. საბჭოთა მაღალხარისხოვანი ფოლადების წარმოების შექმნა, რომელნიც სავსებით დააკმაყოფილებენ საბჭოთა კავშირის მოთხოვნილებებს, ნიშნავს საბჭოთა კავშირის ეკონომიური და მოუკიდებლობის კიდევ უფრო განმტკიცებას და თავდაცვის უნარის გაძლიერებას.

ჩვეულებრივი ფოლადისაგან განსხვავებით, რომელიც შესდგება რკინისა და მჟავბადისაგან, ხარისხოვან ფოლადებს აქვთ სპეციალური შენარევი მარგანეცისა, კაჟისა, ქრომისა, ნიკელისა, მოლიბდენისა და სხვ. სახით. ეს შენარევები სხვადასხვა ვარიაციების დროს (შენარევთა შემადგენლობის და შეცულობის პროცენტის მიხედვით) ფოლადს აძლევენ ისეთ განსაკუთრებულ მექანიკურ და ფიზიკურ თვისებებს, რომელნიც აკმაყოფილებენ თანამედროვე მანქანათმშენებლობის მრავალგვარ მოთხოვნებს. ამა თუ იმ მოთხოვნის მიხედვით ფოლადი შეიძლება იქნეს რბილი ან მაგარი, მაგნიტური ან არამაგნეტური, ელექტროგამტარი ან არაელექტროგამტარი, მსუბუქი, მკვიდრი, მოქნილი, სიცხეგამძლე, უჟანგველი. ხარისხის მიხედვით ამჟამად ცნობილია სულ 250 ნაირი ფოლადი. ხოლო თუ მხედველობაში მივიღებთ სხვადასხვა ვარიაციას შეცულობის მხრივ, აკადემიკოს ბაიკოვის გამოანგარიშებით არსებობს დაახლოებით 10.000 ხარისხის ფოლადი.

დამახასიათებელია, რომ ხარისხოვანი და მაღალხარისხოვანი ფოლადების წარმოება, როგორც ევროპაში, ისე ამერიკაში უკანასკნელი ოცდაათი წლის განმავლობაში უსწრებს მეტალურგიის საერთო ზრდას. მაგალითად, შეერთებულ შტატებში ლეგირებული ფოლადების რაოდენობა 1910 წელს შეადგენდა მთელი გამოდნობილი ფოლადის 0,75 პროცენტს. 1915 წელს ლეგირებული ფოლადების პროცენტმა მიაღწია 3,17-მდე, 1920 წელს იგი შეადგენდა 4 პროცენტს, ხოლო 1931 წელს მან უკვე 7 პროცენტს მიაღწია.

საბჭოთა კავშირში ლეგირებული ფოლადების ზრდა თავისი ტემპით რამდენიმეჯერ აღემატება ჩვეულებრივი ფოლადების გამოშვებას. ხუთწლიანი გეგმის მიხედვით თუ ფოლადის გამოდნობა 1937 წელს 4,5-ჯერ უნდა აღემატებოდეს 1931 წლის დონეს, ლეგირებული ფოლადების წარმოება ამავე პერიოდში უნდა გაიზარდოს 16-ჯერ.

ლეგირებული ფოლადების გამოყენება შეერთებული შტატების მრეწველობის სხვადასხვა დარგში წლითი-წლობით იზრდება. ყველა ლეგირებული ფოლადის 77 პროცენტი ხმარდება საავტომობილო მრეწველობას; ფორდის ავტომანქანების ლითონის ნაწილების 50 პროცენტი სხვადასხვა ხარისხის ლეგირებულ ფოლადისაგან შესდგება. ამ ბოლო დროს ლეგირებულ ფოლადებს ხმარობენ ავტომანქანების შასისთვის, რაც თვალსაჩინოდ ამცირებს მთელი მანქანის წონას და ამასთანავე აძლიერებს მის სიმტკიცეს. ავიომშენებლობაში ლეგირებულ ავიოფოლადისაგან აკეთებენ თითქმის ყველა საპასუხისმგებლო ნაწილს და დეტალს. სარკინიგზო საქმეში ამ ბოლო დროს საგრძნობლად იზრდება ლეგირებული ფოლადების გამოყენება ვაგონების და ორთქლმავლების მშენებლობისთვის. შეერთებულ შტატებში ლეგირებულ ფოლადებს ფართოდ იყენებენ საამშენებლო საქმეში, კერძოდ, მრავალსართულიანი სახლების მშენებლობაში.

ლეგირებული ფოლადების საკმაოდ დიდი მომხმარებელია ქიმიური მრეწველობა. განსაკუთრებული ხარისხის ლეგირებული ფოლადები და თუჯები (სიმჟავის გამძლე თუჯები მარგანეცის და სილიციუმის შენარევით) საშუალებას გვაძლევენ ვიქონიოთ საქარხნო ქიმიური აპარატურა, რომელიც უძლებს ჟანგთა გამომწვეველ მოქმედებას.

ლეგირებული ფოლადების წარმოებაში განსაკუთრებულ როლს თამაშობენ ფეროშენადნობები. ლეგირება ანუ, სხვანაირად რომ ითქვას, ფოლადისთვის სხვადასხვა ფეროშენადნობთა დამატება (გამდნარ მდგომარეობაში) უბრალო ფოლადს აძლევს ახალ და სხვადასხვაგვარ თვისებას, „აუმჯობესებს ერთ თვისებას, ქმნის მეორეს ან ამცირებს მესამეს, რომელიც რაიმე მიზეზით არ არის სასურველი ამა თუ იმ შემთხვევაში. მაგალითად, ქრომი, ვოლფრამი და ვანადიუმი აკეთილშობილებენ ფოლადის მოლეკულებს, ლითონს, რომელიც ინარჩუნებს ფოლადის ძირითად შესანიშნავ თვისებებს, აძლევენ უნარს კონკურენცია გაუწიოს ოქროს ან პლატინს“.

ფეროშენადნობები—ეს არის რკინის („ფერო“ ნიშნავს რკინას) შენადნობები სხვა ლითონებთან—მარგანეცთან, კაჟთან, ქრომთან, ვოლფრამთან, ნიკელთან, ტიტანთან, მოლიბდენთან, ვანადიუმთან, კობალტთან და სხვ., ამ რკინაშენადნობთა ანუ ფეროშენადნობთა მეოხებით ფოლადის ხასიათი (თვისებანი) იცვლება საჭირო მიმართულებით: ფოლადი ღებულობს სიმაგრეს, სიცხე გამძლეობას, ჟანგგამძლეობას, ხდება მყარი, უჟანგველი, უძველებელი, სწრაფმჭრელი და სხვ. მაგალითად, მცირეოდენი ფეროქრომის დამატებით ფოლადი გამოსადეგი ხდება ბასრი ინსტრუმენტების დასამზადებლად. საკმარისია ფოლადს სრულიად უმნიშვნელო რაოდენობით დაუმატოთ ფეროშენადნობები, რომ მას მივცეთ მექანიკური თვისებები, რომლებიც სავსებით აკმაყოფილებენ საავიაციო მრეწველობის მოთხოვნებს.

ამჟამად ხარისხოვან მეტალურგიაში ცნობილია შემდეგი ფერო-შენადნობები: ფერომარგანეცი, ფეროსილიციუმი, ფეროქრომი, ფერო-ვოლფრამი, ფერომოლიბდენი, ფეროტიტანი, ფერონიკელი, ფეროკობალტი, ფეროკადმიუმი და ფეროფოსფორი.

ყველა ზემოაღნიშნული ფეროშენადნობი ხმარდება ლეგირებულ ფოლადების წარმოებას. მაგრამ ორი მათგანი—ფერომარგანეცი და ფეროსილიციუმი, გარდა ამისა, მონაწილეობას იღებს მეტალურგიულ პროცესებში რკინის და ჩვეულებრივი ფოლადის მისაღებად, როგორც დამჟანგლები. აღნიშნული შენადნობები ფოლადის სადნობ ღუმელში იწვევენ სასარგებლო ქიმიურ რეაქციებს ფოლადის გამდნარ მასაში (ბრძოლა ფოლადის არასასურველი მოვლენების წინააღმდეგ, უბუშტუკო მასის მიღება). დამჟანგველებად ფერომარგანეცისა და ფეროსილიციუმის გარდა იხმარება ფეროტიტანი და ფეროფოსფორი. ამგვარად, ზემოთაღნიშნულ ოთხ ფეროშენადნობს (ფერომარგანეცი და სხვ.) აქვს ორნაირი დანიშნულება—ისინი იხმარებიან დამჟანგებლებად მეტალურგიაში და სპეციალური ლეგირებული ფოლადების დასამზადებლად.

დიდ როლს თამაშობენ ფეროშენადნობები ლითონის კოროზიის წინააღმდეგ. ფოლადის და რკინის დაჟანგებით, დაჭანგვით, კოროზიით გამოწვეული დანაკარგი მთელს მსოფლიოში უდრის ხუთმილიარდ ოქროს მანეთს წელიწადში. მარტო შეერთებულ შტატებში ლითონების კოროზიით გამოწვეული ყოველწლიური ზარალი საშუალოდ უდრის ორ მილიარდ დოლარს, ლითონზე ჰაერის ამ გამხრწნელი გავლენის წინააღმდეგ საბრძოლველად ამ ბოლო დროს ფართოდ ხარგებლობენ ფეროშენადნობებით. სხვადასხვა ფეროშენადნობების შეერთებით ლითონი ატმოსფერულ გავლენების გამძლე ხდება.

ფეროშენადნობს ხმარობენ, როგორც მინარევს, თითქმის ყოველი ხარისხის რკინასა და ფოლადში, სხვადასხვა პროცენტი—0,1-დან 2,1—25 პროცენტამდე, რაც აუმჯობესებს ფოლადის მექანიკურ თვისებებს (ფოლადი ხდება ჭედვადი, იზრდება მისი სიმაგრე, მოქნილობა, გაწყვეტის გამძლეობა). მარგანეცის ხარჯვა ფოლადის სადნობ მრეწველობაში აღწევს მთელი გამოდნობილი ფოლადის ერთ პროცენტს.

ფოლადები მარგანეცის უფრო მეტი შეცულობით (8—14 პროც.) ღებულობენ განსაკუთრებულ თვისებებს და მათ ეწოდებათ მარგანეცისებური ფოლადები. ჰადფილდის მარგანეცისებური ფოლადი შეიცავს 10—12,5 პროცენტ მარგანეცს. მას აქვს გაცვეთისა და მოძველებისათვის საგრძნობი წინააღმდეგობის გაწევის თვისება. ამ ფოლადისაგან წარმოებს რკინის გზის ტრანსპორტის მნიშვნელოვანი დეტალების (ჯვარედინები, მოსალუნი რელსები და სხვ.), ექსკავატორთა, მიწის ამომღები მანქანების, სამსხვრეველების ნაწილების, სხვადასხვა მანქანებისათვის საჭირო ჯაჭვების და კბილანების, წისქვილის ჩაქუჩების და ბურთების და სხვ., ჩამოსხმა.

საგრძნობ ინტერესს წარმოადგენს სარელსო ფოლადისათვის მარგანეცის დამატება. ამ გზით რელსებს ემატება სიმაგრე. მაღალმარგანეცისებური რელსები, რომლებიც შეიცავენ მარგანეცის 11—14 პროცენტს, სძლებენ 7-ჯერ უფრო მეტ ხანს, ვიდრე ჩვეულებრივი რელსები. ეს პრობლემა განსაკუთრებით საინტერესოა იმასთან დაკავშირებით, რომ რკინის გზებზე შემოღებულია მძლავრი ორთქლმავლები და საგრძნობლად იზრდება ტვირთბრუნვა. შეერთებულ შტატებში რკინის გზებზე ამ ბოლო დროს იზრდება საშუალო მარგანეცისებური რელსების გამოყენება. აღნიშნული რელსები მარგანეცს შეიცავენ 1,3-დან 1,6 პროცენტამდე.

ჩვეულებრივ ფერომარგანეცისაგან განსხვავებით, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მცირე მჟავბადიან ფერომარგანეცს. იგი იხმარება არამაგნიტური და უჟანგველი ქრომ-მარგანეცისებური ფოლადის და სხვა სპეციალური ფოლადების წარმოებისათვის. მცირემჟავბადიანი ფერომარგანეცის წარმოება ჩვენ ჯერჯერობით არ გვაქვს სავსებით ათვისებული.

ხარისხოვანი ლეგირებული ფოლადების წარმოების ზრდასთან დაკავშირებით ამ ბოლო დროს ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში ძალიან გაიზარდა ფეროშენადნობთა მრეწველობა. განსაკუთრებით სწრაფად იზრდება ელექტროთერმიული ფეროშენადნობთა წარმოება. უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში ელექტროთერმიულ ფეროშენადნობთა წარმოებამ ერთი-ათად და კიდევ უფრო მეტად იმატა.

მეტალურგიაში ცნობილია ფერომარგანეცის მიღების ორი წესი. კერძოდ, ფერომარგანეცი შეიძლება მიღებულ იქნას ბრძმედში გამოდნობის გზით (მეტალურგიული ქარხნების ჩვეულებრივ ბრძმედებში) და ელექტროთერმიული გზით (ელექტროღუმელებში, სადაც ტექნოლოგიურ პროცესში მონაწილეობას იღებს ელექტროენერგია). მაგრამ ბრძმედებში გამოდნობამ არ შეიძლება მოგვცეს უმაღლესი ხარისხის პროდუქტი. ვღებულობთ არა სავსებით სუფთა შენადნობს, რომელიც საგრძნობი რაოდენობით შეიცავს მავნე შენაერთებს (ფოსფორი). იხარჯება გაცილებით უფრო მეტი მადანი და ქვანახშირი (კოქსი), ვიდრე ელექტროთერმიული წესით გამოდნობის დროს. მაგალითად, ერთ ტონა შენადნობზე იხარჯება 7 ტონა ქვანახშირი, მადანი, რკინა და ფლუსები. ელექტროთერმიული გამოდნობის დროს ეს ხარჯები თითქმის ერთიორად მცირდება. გარდა ამისა, ელექტროღუმელები იძლევიან უფრო მაღალ ტემპერატურას (2500—3000 გრ.), რაც იძლევა ძნელად გასადნობი ლითონების (ვოლფრამი, მოლიბდენი და სხვ.) გადნობის შესაძლებლობას.

ამგვარად, როგორც ტექნიკურად და ეკონომიურად, ისე მაღალხარისხოვანი შენადნობების მიღების მხრივ, გამოდნობის ელექტროთერმიულ წესს საგრძნობი უპირატესობა აქვს.

ამიტომ ელექტროღუმელის გამოგონების შემდეგ, ბრძმედულმა გამოდნობამ თითქმის ყველგან ადგილი დაუთმო ელექტროთერმიულ გამოდნობას, გარდა ინგლისისა, სადაც აქამდის ფერომარგანეცს უმთავრესად ბრძმედებში ადნობენ. ეს შეიძლება აიხსნას მხოლოდ იმით, რომ დიდი ბრიტანეთის ტერიტორია მეტად ღარიბია იაფი ჰიდრო-ენერგიით.

ფეროშენადნობთა ელექტროთერმიულ წარმოებას საკმაოდ ბევრი ელექტროენერგია სჭირდება. მაგალითად, ერთი ტონა ფერომარგანეცის გამოდნობისათვის საჭიროა 3—3,5 ათასი კლვ. ს. ენერგია, 1 ტონა ფეროსილიციუმის გამოდნობისთვის—12 ათასი კლვ. საათი, ქრომის—7 ათასი კლვ. ს., ვოლფრამის—5 ათასი, ვანედიუმის—4,8 ათასი. ფეროშენადნობთა თვითღირებულებაში თვალსაჩინო ადგილი უკავია დახარჯული ელექტროენერგიის ღირებულებას. ფეროშენადნობთა წარმოება შეიძლება დაეყრდნოს მხოლოდ იაფფასიან ჰიდროელექტროენერგიას. თბოსადგურის ენერგია ფეროშენადნობებისთვის ძალიან ძვირია. ამიტომ ფეროშენადნობთა წარმოება ყოველთვის მიიწევს ჰიდროელექტროენერგიის წყაროებისაკენ. ნორვეგიას, რომელიც მდიდარია წყლის ენერგიით, ელექტროთერმიულ ფეროშენადნობთა წარმოების მხრით მსოფლიოში პირველი ადგილი უკავია. იქ აგებულია ფეროსადნობი ქარხნები უცხოეთის კაპიტალის (კერძოდ ამერიკის კაპიტალის) მონაწილეობით. ნორვეგია ყოველწლიურად ადნობს 75 ათას ტონაზე მეტს ფერომარგანეცს, იმ დროს, როცა მას სრულებით არ მოეპოება მარგანეცის მადნები და მარგანეცი შემოაქვს შორეულ ქვეყნებიდან.

საბჭოთა კავშირში ფეროსადნობი მრეწველობის განვითარება დაკავშირებულია იაფფასიანი ჰიდროელექტროენერგიის რაიონების შერჩევასთან. ამიტომ აშენდა დნეპრის ჰიდროსადგურის გვერდით ფეროსადნობი ქარხანა. ჩვენში, საქართველოში ფერომარგანეცის ქარხანა აშენდა არა მარტო იმიტომ, რომ აქ მოიპოება მსოფლიო მნიშვნელობის მარგანეცის მადნის საბადოები. ამასთან ერთად გადამწყვეტი როლი ითამაშა იაფი ჰიდროელექტროენერგიის მიღების შესაძლებლობამ.

თუ შევადარებთ საქართველოს და ნორვეგიის ჰიდროენერგეტიკულ რესურსებს სიმდიდრისა და ხარისხის (მაღალხარისხიანობა) მხრით, დავინახავთ, რომ საქართველოს მოეპოება თითქმის ორჯერ უფრო მეტი პოტენციალური იაფი ჰიდროენერგია. ნორვეგიას მთელი თავისი წყლის კადასტრებით შეუძლია გამოიმუშაოს 7 მილიონი ცხ. ძალის ენერგია, საქართველოს კი, ჯერ კიდევ არასრული გამოანგარიშებით—14 მილიონი ცხ. ძალის ენერგია. ამასთან ერთად, ჩვენ უდიდესი რაოდენობით მოგვეპოება მარგანეცის მადანი ფერომარგანეცის წარმოებისათვის, გვაქვს აგრეთვე მაღალხარისხოვანი კაჟის და ხალცედონის საბადო (აჯამეთში) ფეროსილიციუმის წარმოებისათვის, კაროზის საბადო—ფერომოლიბდენის წარმოებისათვის და სხვ. შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ჩვენ გვაქვს ყველა პირობის განსაკუთრებული შეხამება ელექტროთერმიული ფეროსადნობი მრეწველობის განვითარებისათვის.

ელექტროთერმიულ შენადნობთა წარმოება რუსეთში არ არსებობდა. მხოლოდ სამხრეთის ქარხნების ბრძმედებში ადნობდენ ფერომარგანეცს. ფეროსადნობი მრეწველობა საბჭოთა კავშირში წარმოიშვა უკანასკნელ წლებში: აქამდის ყოველწლიურად გვიხდებოდა 40—50 მილიონი მანეთის ფეროშენადნობების შემოტანა.

ამჟამად საბჭოთა კავშირში არის ორი ფეროსადნობი ქარხანა—ჩელიაბინსკში და დნეპრზე. ჩელიაბინსკის ქარხანა ამუშავდა 1931 წელს და ამჟამად იძლევა 45 ათას ტონა სხვადასხვა ფეროშენადნობს (ფეროსილიციუმი, ფეროქრომი და ფეროვოლფრამი) წელიწადში). დნეპრის ფეროსადნობი ქარხანა ამუშავდება და ყოველწლიურად მოგვცემს 80 ათას ტონა ფერომარგანეცს. 30 ათას ტონა ფეროსილიციუმს და 8 ათასს ტონა ფეროქრომს.

ზესტაფონის ქარხანა სრული სიმძლავრით მუშაობის დროს (18 ღუმელი) მოგვცემს 200 ათას ტონა ფერომარგანეცს წელიწადში (ამ ღუმელების ექსპლოატაციაში გაშვება იწარმოებს 2—3 წლის განმავლობაში). მაგრამ ზესტაფონის ქარხანა დაამზადებს არა მარტო ფერომარგანეცს, არამედ იქ მოეწყობა აგრეთვე სხვა ფეროშენადნობთა (ფეროსილიციუმი, ფეროქრომი, ფერომოლიბდენი) გამოდნობა.

თავისი სიმძლავრით ზესტაფონის ფეროსადნობი ქარხანა ელექტროთერმიული ფეროსადნობი მრეწველობის ერთ-ერთი უდიდესი საწარმოო იქნება არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ აგრეთვე მთელს მსოფლიოში. მაგალითად იგი სიმძლავრით გადააჭარბებს ნორვეგიის და შეერთებული შტატების ქარხნებს, რომლებზედაც მოდის ფერომარგანეცის მსოფლიო გამოდნობის საგრძნობი ნაწილი.

ზესტაფონის ფერომარგანეცის ქარხანა ყველა არსებული ელექტროთერმიული ქარხნისაგან განსხვავდება იმით, რომ იგი, ტფილისის ფერომარგანეცის საცდელი ღუმელის ნაყოფიერი ცდების შედეგად, იმუშავებს არა კოქსზე, არამედ ტყიბულის ნედლ ნახშირსა და ნედლ კირაქვაზე, მზა-კირის ნაცვლად. ტექნოლოგიაში შეტანილი ეს „კორექტივები“ საგრძნობლად ამარტივებს და აიაფებს წარმოებას.

ზესტაფონის მარგანეცის ქარხანა წინასწარ განსაზღვრავს დიდი ფეროსადნობი მრეწველობის განვითარებას ჩვენში. იგი საუკეთესო დამამტკიცებელია იმისა, რომ საბჭოთა პირობებში, სწორი ლენინური ნაციონალური პოლიტიკის განხორციელების გზით, ნაციონალ რესპუბლიკებში იქმნება მსხვილი ინდუსტრია.

ხ. გოდაბრულიძე.

ლეიპციგის პროცესი

ვან-დერ-ლუბე მოქმედებდა ნაციონალ-სოციალისტთა ბელადების დირექტივებით

სტოკჰოლმი, 18 ოქტომბერი. სტოკჰოლმის ერთ-ერთ უდიდეს დარბაზში აუდიტორიის წინაშე მოხსენებით რეიხსტაგისათვის ცეცხლის წაკიდების საქმის გამო გამოვიდა იურისტთა საერთაშორისო საგამომძიებლო კომისიის წევრი ვექილი ბრანტინგი, მიუთითა რა ფაქტებზე, დოკუმენტებსა და მოწმეებზე, ბრანტინგმა აღნიშნა, რომ **ვან-დერ-ლუბე მოქმედებდა გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური პარტიის ბელადების დირექტივებით** (ადს).

„მოწმეების“ უნაყოფო დაკითხვა გრძელდება

პრაღა, 17 ოქტომბერი. ბერლინში სასამართლოს გუშინდელ სხდომაზე დაკითხულ იქნა ვინმე **შმალი**, რომელსაც საბრალმდებლო დასკვნის თანახმად, ცეცხლწაკიდების დღეს, ნაშუადღევის 2 საათზე, თითქოს დაუნახავს რეიხსტაგის წინ **ტორგლერი** და **ვან-დერ-ლუბე**. მაგრამ სასამართლოში შმალი, წინასწარი გამოძიების მტკიცების წინააღმდეგ, კატეგორიულად უარყოფს, რომ მან ტორგლერი დაინახა ვან-დერ-ლუბესთან ერთად. თავმჯდომარის კითხვაზე, იყო თუ არა იგი ორ საათზე რეიხსტაგის მახლობლად, ვან-დერ-ლუბე დუმილით უპასუხებს.

შემდეგი მოწმე **ვენიგი** ამტკიცებს — **ვან-დერ-ლუბე** დავინახე რეიხსტაგში მისული ექსკურსიის მონაწილეთა შორის ცეცხლის წაკიდებამდე 8—14 დღით ადრეო. ვოლფის სააგენტოს ცნობით, ამას, თითქოს, ადასტურებს მესამე მოწმეც, **გოლდახი**, რომელმაც მიუხედავად ამისა, სასამართლოს გუშინდელ სხდომაზე განაცხადა მე არა ვარ დარწმუნებული, რომ ეს სწორედ ვან-დერ-ლუბე იყოს:

მოწმე **შოლცი**, რომელიც პასუხისმგებელია რეიხსტაგის განათებისათვის, ადასტურებს, რომ იგი ესაუბრებოდა რეიხსტაგის პორტიეს დაახლოვებით საღამოს ცხრის ნახევარზე. როცა ტორგლერმა, კენენმა და რეიხსტაგის კომფრაქციის მდივანმა დასტოვეს რეიხსტაგის შენობა. სასამართლოს თავმჯდომარე შოლცს აძლევს „მანიშნებელ“ კითხვას: „ისინი ჩქარი ნაბიჯით მიდიოდნენ?“. მოწმე უპასუხებს: — „არა, ისინი მიდიოდნენ სრულიად ჩვეულებრივი ნაბიჯით“. უნდა აღინიშნოს, რომ შოლცის დაკითხვის დროს პირველად ეხებიან საკითხს მიწისქვეშა სასვლელის შესახებ, რომელიც რეიხსტაგის შენობას აერთებს გერინგის სახლთან.

პროკურორი **ვერნერი** ეკითხება შოლცს, დაკეტილი იყო თუ არა ჩვეულებრივად კარი, რომელიც რეიხსტაგის სარდაფს აერთებს ამ მიწისქვეშა სასვლელთან. მოწმე უპასუხებს — კარი დაკეტილი იყო, მაგრამ მისი გაღება შეიძლებოდა საერთო გასაღებით, რომელიც ჰქონდათ სარდაფში მომუშავე მოსამსახურეებსო. ამგვარად, რეიხსტაგის მთელ რიგ მოსამსახურეებს, როგორც ჩანს შესაძლებლობა ჰქონდათ გაეღოთ ეს კარი და ვინც სურდათ შეეშვათ მიწისქვეშა სასვლელში (ადს).

პროცესის მორიგი მარცხი

პრაღა, 16 ოქტომბერი. „პრაგერ ტაგებლატი“ ამჟღავნებს რეიხსტაგისათვის ცეცხლის წაკიდების პროცესის მორიგ მარცხს. კორესპონდენტის სიტყვით, სასამართლოს თავმჯდომარემ, მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენით, რომელიც მოითხოვდა ვან-დერ-ლუბეს ნამდვილ საექიმო ექსპერტიზას, გადაწყვიტა დაავალოს ეს ვალი ჰოლანდიელ ექიმ ნოეს, მაგრამ იმ აუცილებელი პირობით, რომ ექსპერტიზაში მონაწილეობა მიიღოს უკვე ცნობილმა სედერმანმა. მაგრამ სედერმანმაც კი უარი თქვა ამ ახალ კომედიაში მონაწილეობის მიღებაზე, ვინაიდან აღნიშნული ექიმი ნოე გინეკოლოგიაო (ადს).

ჰოლანდიის გენერალური კონსულის „მოულოდნელი“ გარდაცვალება ბერლინში

ვარშავა, 18 ოქტომბერი. „ილუსტროვანი კურიერ პოდზენი“ ბერლინიდან იუწყება, რომ 18 ოქტომბერს გამოქვეყნდა მოკლე ცნობა: 16 ოქტომბერს საღამოს გულის სიდამბლით გარდაიცვალა ჰოლანდიის გენერალური კონსული კნობლი, რომელიც რეიხსტაგისათვის ცეცხლის წაკიდების პროცესზე იყო ჰოლანდიის მთავრობის მეთვალყურედ.

კნობლი უეცრად გარდაიცვალა ბერლინის ერთ-ერთ კაბარეში. გაზეთები იუწყებიან, რომ ჰოლანდიელი მეთვალყურის სიკვდილმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. დაჟინებით ვრცელდება ხმები, რომ კნობლის სიკვდილში დამნაშავეა გერმანიის საიდუმლო პოლიტიკური პოლიცია, რომელიც დაინტერესებული იყო იმით, რომ თავიდან მოეშორებინა რეიხსტაგისათვის ცეცხლის წაკიდების პროცესის არასასურველი შეთვალყურე. „ამგვარად, — წერს „ილუსტროვან. კურიერ პოდზენი“, — პროცესის ორგანიზატორები განთავისუფლდნენ ისეთი მოწმისაგან, რომელმაც ალბათ, უფრო მეტი იცოდა პროცესის შესახებ, ვიდრე საჭირო“ (ადს).

მარგანეცი

ჭიათურა, 19 ოქტომბერი. 17 ოქტომბერს ჭიათურის მაღაროებში უნდა ამოეღოთ 4.323 ტონა მარგანეცი, ფაქტიურად ამოიღეს 3.535 ტონა. გეგმის 81,7 პროც.

უნდა გაერეცხათ 2.374 ტონა მარგანეცი, გაირეცხა 2.374 ტონა, რაც დავალების 59,7 პროცენტს შეადგენს.

თურქეთ-რუმინეთის მეგობრობის პაქტი

ანკარა, 17 ოქტომბერი. ტიტულესკუმ და თევფიკ რუშთუ-ბეიმ ხელი მოაწერეს თურქეთ-რუმინეთის პაქტს მეგობრობის, არბიტრაჟის, თავდაუსხმელობის და შემარიგებელი პროცედურის შესახებ (ადს).

„მილლიეთი“ რუმინეთსა და თურქეთს შორის მეგობრობის და თავდაუსხმელობის მომავალი პაქტის შესახებ

სტამბოლი, 17 ოქტომბერი. ტიტულესკუს ჩამოსვლასთან დაკავშირებით, გაზეთი „მილლიეთი“ აღნიშნავს, რომ მარტო საბერძნეთ-თურქეთის პაქტს, თურქეთის გულწრფელი სურვილის მიუხედავად, არ შეეძლო მოეცა მშვიდობიანობის და უშიშროების გარანტია. ამიტომ თურქეთმა გააგრძელა მეგობრობის პაქტი ბულგარეთთან და ღებულობს ზომებს იმისათვის, რომ დასდვას ანალოგიური პაქტი სამხრეთ-სლავიასთან და, ბოლოს, რუმინეთთან. გაზეთი იუწყება, მეგობრობის და თავდაუსხმელობის პაქტი ამ დღეებში იქნება დადებულიო. (ადს).

ტიტულესკუ ქემალ-ფაშასთან

ანკარა, 16 ოქტომბერი. პრეზიდენტმა ქემალმა მიიღო რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ტიტულესკუ, რომელსაც ესაუბრა ორი საათის განმავლობაში თევფიკ რუშთუ-ბეის თანადასწრებით (ადს).

სპარსეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობა

თეირანი, 15 ოქტომბერი. სპარსეთის პრესამ გამოაქვეყნა დეპეშები, რომლებიც ერთმანეთს გაუგზავნეს ამხ. **კარახანმა** (თავისი გამგზავრების შემდეგ), სპარსეთის პრემიერმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა. პრემიერ **ფორუგის** და საგარეო საქმეთა მინისტრ **ყაზემის** სახელზე გაგზავნილ დეპეშებში ამხ. კარახანი მადლობას უცხადებს იმ მეგობრული მიღებისათვის, რომელიც მოუწყვეს მას სპარსეთში აგრეთვე იმისათვის, რომ მას საშუალება მისცეს გაცნობოდა სპარსეთის პროგრესის დამახასიათებელ ობიექტებს. საპასუხო დეპეშებში ფორუგიმ და ყაზემიმ, გამოთქვეს რა კმაყოფილება დარბაზობის გამო, აღნიშნეს, რომ ეს დარბაზობა ხელს შეუწყობს ურთიერთობის და კავშირის განმტკიცება—განვითარებას ორივე ქვეყანას შორის. თავის დეპეშაში პრემიერი ფორუგი ამბობს: „თქვენმა გულწრფელმა სურვილებმა სპარსეთის პროგრესის მიმართ დიდი სიხარული და კმაყოფილება გამოიწვიაო“ (ადს).

ხელოვნება

ჭიათურის სახელმწიფო თეატრი

ჭიათურის თეატრი წელს სავსებით გაახალგაზრდავებულია და შევსებული ახალი შემადგენლობით. როგორც გასულ სეზონებში, წელსაც კურსი აღებულია ქართულ ორიგინალურ პიესებზე. ამისათვის თეატრის ხელმძღვანელობა მოლაპარაკებას აწარმოებს დრამატურგებთან: ალ. შანშიაშვილთან, დია ჩიანელთან, ბორის ჩხეიძესთან და სხვებთან.

წელს ორიგინალურ პიესებიდან დაიდგმება: **შ. დადიანის „ნინოშვილის გურია“, გაბესკირიას „ლაქაშებს შორის“, ბუხნიკაშვილის „მთელი დაინგრეს“, იოანე ვაკელის „აპრაკუნე ქიმქიმელი“, გ. გაბუნიას „აკარმარა“, და კონკურსიდან მიღებული პიესა.**

თარგმნილ პიესებიდან: კირშონის — „სასამართლო“.

განახლებული იქნება: აფინოგენოვის — „შიში“, სამსონიძის— „სალტე“, ფრანგიშვილის—„ქარავანი“, ლავრენიევის—„რღვევა“, კაკაბაძის—„ყვარყვარე თუთაბერი“.

სეზონის გახსნა განზრახულია 25 ოქტომბრისათვის. წელს მუდმივ მხატვრად იმუშავებს ახალგაზრდა მხატვარი **არ. ჟორდანია**. ერთი დადგმა მინდობილი ექნება ახალგაზრდა რეჟისორ-ასისტენტ **სოფრომ ცომაიას**. თეატრთან ყალიბდება სტუდია-სახელოსნო. გამოშვებული იქნება აბონემენტები.

ადგილობრივი პროფსაბჭო ენერგიულ ზომებს იღებს მაყურებელთა ორგანიზაციულად დასწრებისათვის წარმოდგენებზე. თეატრი თავის დადგმებს გადაიტანს ქარხმაღარკომებთან არსებულ კლუბებში.

თეატრის კოლექტივში შედიან შემდეგი მსახიობები: თ. კიკნაძე, თ. მაკარაშვილი, შ. სიხარულიძე, მ. კანდელაკი, ნ. კაკაბაძე, ნ. სიხარულიძე, ვ. ფხალაძე, მ. ვაშაძე, გ. ნიცუბიძე, ვ. არეშიძე, შ. ბანეთიშვილი, გ. გაბუნია, ა. თარხნიშვილი, ბ. დუმბაძე, პ. ჯალაღანია, გრ. ტყაბლაძე, ა. მშვენიერაძე, შ. ღლაშვილი, შ. თხელიძე, ლ. ჭედია, გ. კიკნაძე და სხვები.

თეატრს განზრახული აქვს მოაწყოს გასტროლები მსხვილ სამრეწველო რაიონებში და აგრეთვე მომსახურეობა გაუწიოს რაიონის მსხვილ კოლმეურნეობებს.

თეატრი გამართავს თვეში 10 წარმოდგენას.

ფიზკულტურა და სპორტი

მზადება ფიზკულტურული დღესასწაულისათვის ტფილისში.

ოქტომბრის რევოლუციის მე-16 წლისთავთან დაკავშირებით 8 ნოემბერს ტფილისში ეწყობა ფიზკულტურელთა 30 ათასიანი დემონსტრაცია, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ პროფკავშირები, უმაღლესი და საშუალო სასწავლებლები, სარეწაო კოოპერაცია, საზოგადოება „დინამო“, წითელი არმიის ნაწილები, თავდაცვა-ავიაქიმი, ავტო-გზა და სხვა ორგანიზაციები. რაიონებში ჩამოყალიბებულია შტაბები, რომლებიც პრაქტიკულად უხელმძღვანელებენ წარმოება-დაწესებულებათა ფიზკულტურული კოლექტივების მზადებას დღესასწაულისათვის.

„დინამოს“ ფიზკულტურული კოლექტივის წევრი ამხ. **მინასიანი** აბარებს ირმას ყუმბარის ტყორცნაში

ფ ე ხ ბ უ რ თ ი

არმავირი—ტფილისი

17 ოქტომბერს ლენინის სახელობის სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ არმავირის და ტფილისის საზკვების ფეხბურთელთა გუნდები. თამაში დამთავრდა 2:1 არმავირის გუნდის სასარგებლოდ.

ამავე სტადიონზე 18 ოქტომბერს მოხდა შეხვედრა არმავირის და საქ. პროფკავშირთა ნაკრებ გუნდებს შორის. ამ დღეს შეჯიბრება დამთავრდა 2:1 საქ. პროფკავშირთა ნაკრები გუნდის სასარგებლოდ.

ტაშკენტი—„დინამო“ პირველი

დღეს „დინამოს“ სტადიონზე გაიმართება ტაშკენტისა და „დინამოს“ პირველი ფეხბურთელთა გუნდების ამხანაგური შეხვედრა.

ოფიციალური განყოფილება

დადგენილება

საქ. პროფკავშირთა საბჭოსი

ა.-კ. ოლიმპიადაზე მონაწილეთა განთავისუფლების წესის შესახებ

განთავისუფლებულნი იქნენ სამუშაოდან ის მუშა-მოსამსახურენი, რიცხვით 30 კაცი, რომელნიც მონაწილეობას მიიღებენ ამიერკავკასიის ოლიმპიადაზე ქ. ბაქოში ამ წლის 21-დან 25 ოქტომბრამდე ჩათვლით. ამ ხნის განმავლობაში მათთვის სამუშაო ადგილისა და საშუალო ხელფასის შენარჩუნებით.

ს.პ.კ.ს. თავმჯდომარე **ნიორაძე.**
შრ. დაცვის განყოფილების გამგე **კაპანაძე**
16 ოქტომბერი, 1933 წ.

მოჭადრაკე მაესტროების ტურნირი

მეორე ტური

მაესტროების ტურნირის მეორე ტურში დამთავრდა მხოლოდ ერთი პარტია სავიცკი-გოგლიძისა; უკანასკნელმა ლაზერის პაიკის დებიუტში აირჩია ბოგოლიუბოვის დაცვა და ზუსტი თამაშის შემდეგ მიიღო თანასწორი მდგომარეობა. სავიცკი მიდის თამაშის გართულებაზე, გოგლიძე კი შემდგომაც განაგრძობს ძლიერად თამაშს და თანდათანობით ღებულობს დიდ უპირატესობას. ეს საკმარისი იყო პარტიის მოგებისათვის, მაგრამ აქ მოულოდნელად რამდენიმე აჩქარებული სვლით გოგლიძე კარგავს ინიციატივას, შემდგომ უშვებს უხეშ შეცდომას და შამათის მუქარის ქვეშ იძულებულია დანებდეს.

ალატორცევმა შავებით ვ. **მაკაგონოვის** წინააღმდეგ ჰოლანდიურ დაცვაში, მოწინააღმდეგის მიერ დებიუტში დაშვებული უმნიშვნელო შეცდომა სათანადოდ გამოიყენა, ხარისხის შეწირვით ვაავითარა მეფის ფრთაზე ძლიერი იერიში და გადასდო პარტია თავისთვის მოგებულ მდგომარეობაში.

ებრალიძის და მ. მაკაგონოვის პარტია პირველის აჩქარებული თამაშის წყალობით გადაიდო მისთვის წაგებ მდგომარეობაში.

სოროკინ-კასპარიანის პარტია რთულ და საინტერესო თამაშის შემდეგ გადაიდო საყაიმო მდგომარეობაში.

მესამე ტური

19 ოქტომბერს გათამაშებულ მესამე ტურში, **სოროკინმა გოგლიძის** წინააღმდეგ ითამაშა ნიმცევიჩის დაცვა და დებიუტიდან გამოვიდა თავისუფალი მდგომარეობით. შემდგომ თამაშში ის ირჩევს არასწორ გეგმას; გოგლიძე ამას მშვენივრად იყენებს, ხელთ იგდებს ინიციატივას, იერიშით მეფის ფრთაზე, თანდათანობით შეიჭრება მოწინააღმდეგის პოზიციაში და აიძულებს მას დასთმოს ლაზიერი ეტლსა და ცხენში. ეს საკმარისი იყო, რომ სოროკინს თავისი თავი დამარცხებულად ეცნო. **მ. მაკაგონოვ—ვ. მაკაგონოვის** პარტია უფერული თამაშის შემდეგ დამთავრდა ყაიმით. დანარჩენი პარტიები არ იყო გათამაშებული.

დღეს მეოთხე ტურის მაგივრად შესდგება მეხუთე ტური. თამაშობენ **კასპარიანი—მაკაგონოვი ვ., გოგლიძე—მაკაგონოვი მ., სოროკინი—სავიცკი.** ალატორცევი—ავადმყოფობის გამო მისი პარტია ებრალიძესთან გადადებულია.

ა. ფ.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

20 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე ტფ. კომიტეტის კულტპროპგანყოფილებაში ამხ. აროშიძესთან (ოთახი № 34) შესდგება თათბირი 16 ოქტომბერს ჩატარებული კომკავშირული პოლიტსწავლების პირველი დღის წესრიგების საკითხზე. თათბირზე უნდა გამოცხადდნენ კომკავშირის რაიკომების კულტპროპგანყოფილებათა გამგეები, ტრამვაის, მექანიკური ქარხნის, მკერავი № 1 და მე-2-ს, აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის, „26“-ის სახელობის ქარხნის, მაუდის ფაბრიკის, ტფ. საბჭოს, ავტოსარემონტო ქარხნის მშენებლობისა და „ნეფტებურმაში“-ს, პარტიისა და კომკავშირის კომიტეტების და კოლექტივების მდივნები და კულტპროპორგანიზატორები, ინსტრუქტორები ამხ. სიმონგულოვი, სისაკიანი, ფანცულაია, გელოვანი.

20 ოქტომბერს საღამოს 7 საათზე ორჯონიკიძის რაიკომის პარტკაბინეტში შესდგება ყველა პარტუჯრედების ინფორმატორების თათბირი შემდეგი დღის წესრიგით: 1) 22 და 31 ოქტომბრის პარტიული დღეების შესახებ, 2) ფიზკულტურელთა აღლუმის და ოქტომბრის დღესასწაულის ჩატარების შესახებ. საკითხების დიდმნიშვნელობის გამო ზემოაღნიშნული ამხანაგების დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

—:—

20 ოქტომბერს საღამოს 7 საათზე ლენ-რაიკომის შენობაში მოწვეულია დაწყებითი, საკანდიდატო და მიმდინარე პოლიტიკის წრეების პროპაგანდისტთა სემინარი. პროპაგანდისტების დასწრება სავალდებულოა.

სახ. ოპერა	დღეს 8 აბონ. 2 წარ.	21 ოქტომბერს მე-12 აბონ. 2 წ.	22 ოქტომბერს მე-10 აბონ. 2 წარმ.
	ტრილბი	პიკის ქალი	ჩიო-ჩიო-სან

დაიწყო მე-4 მორიგი გადასახდ. მიღება ყველა აბონემენტებზე. ის აბონენტები, რომელთაც თავისი წარმოდგენის დღის 2 საათამდე არ ექნებათ გადახდილი მესამე მორიგი გადასახდელი, კარგავენ სპექტაკლზე დასწრების უფლებას და მათი ადგილები გაიყიდება ცალობით. 421

რუსთ. თეატრი 1933—34 წ.	19 ოქტომბერს სტუდენტთა აბონ. ბ 1 წარ.	20 ოქტომბერს 4 აბონ. 1 წარ.	22 ოქტომბერს 7 აბონ. 1 წარ.
	ზაგმუკ	ზაგმუკ	ქართა ქალაქი

მეორე გადასახადი სავალდებულოა, შეტანილი უნდა იქნას წარმოდგენის დღის 2 საათამდე. სალარო ღიაა 11—2, 6—9 საათამდე. დასაწყისი 8 საათზე. ნ. 405

მარჯანიშვილის სახელობის თეატრი	20 ოქტომბერს აბონ. გარეშე	21 ოქტომბერს 9 აბონ. 1 წარ.	22 ოქტომბერს 2 აბონ. 1 წარ.
	მზის დაბნელება საქართ.	ურიელ აკოსტა	მზის დაბნელება საქართ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ბილეთები თეატრის სალაროში დილის 11 ს.—12 ს. საღამოს 6 ს.—10 ს. პირველი წარმოდგენაზე დასასწრებლად შემოტ. უნდა იქნეს მე-2 გადასახადი. ნ. 406

სახკინმრეწვის კინო-თეატრები:

ამირანი 7-30 9, 10-30.	ისტ. მხ. ფილმი შინაყმის ფრთები პრ. გარ. საბჭოთა საქ. № 14
ოქტომბერი—დღისით სეან. 12, 1-30, 3	საჭკინ. ნაწარმ. მამის მკვლელი პრ. გარ. საბჭოთა საქ. № 13
ტემპი საზ. 7-30, 9-20,11 ზამთრის 7, 8-45, 10-30	საზღვ. ისტ. ფილმი სალამბო პროგ. გარ. სოიუზკინოს ჟურ. № 24.
კომინტერნი (დიდუბე) 8, 10	მხ. ფილ. მასხარა უორეის ბენეფისი პრ. გარეშე—სკჟ № 23
ოქტომბერი 6, 7-30, 9, 10-30.	საზღვ. ფილმი ნიუ-იორკის დოკებში პრ. გარ.—სოიუზკინოს ჟურნ. № 19
დამკვრელი 6, 7-30, 9, 10-30.	მხატვრული ფილმი საბა (ახ. ეკზ.) პრ. გარ.—კომკავშირული თაოსნობა
რ. ლიუქსემბურგის 6-30, 8, 9-30, 11	ხმოვანი მხატვრ. ფილმი მოჩვენება რომელიც აღარ განმეორდება
სპარტაკი 6, 7-30, 9, 10-30	ისტორიული მხატვრული ფილმი ბულატ ბატირი
26-ის სახელობის (ავლაბარში)	საზღვარგარეთული ფილმი კონტრაბანდისტები ჩილიში
მეცნიერება და ტექნიკა 8, 9-30	საზღვარგარეთული საწარმოო ფილმი ნანუკი
საბავშვო კინო დღის 12 და 2 საათზე	მხატვრული საბავშვო ფილმი ლენინის მისამართი

19 ოქტომბრიდან კინო-თეატრ **დამკვრელში** (საზამთ. შენობა)
სეანსები: 6, 7—30, 9, 10—30.
მხატ. ფილმი, საქ. სახკინმრ. ნაწარმოები

საბა (ახალი ეკზემპლიარი)

რეჟისორი **მიხეილ ჭიაურელი.**
მთავარ როლებში: **ვერიკო ანჯაფარიძე, ჯალიაშვილი, ჯანუაშვილი.**
პროგრამის გარეშე—კომკავშირის 15 წლისთავისათვის
კომკავშირული თაოსნობა. ნ. 428

განცხადება

თანახმად საკავშირო მარაგგასაღების წინადადებისა

საქმარაგგასაღებამ დაიწყო განცხადებების მიღება ადგილობრივ საამშენებლო მასალებზე,

რომელნიც დასჭირდებათ საქართველოს საბჭ. სოც. რესპ. ფარგლებში განსაზოგადოებულ სექტორის ყველა ორგანიზაციებს 1934 წლისათვის

განცხადების მიღება იწარმოებს ა-წ. 1-ლ ნოემბრამდე შემდეგის ფორმით:

მშენებლობის დასახელება და ხასიათი	მისამართი	აშენებლობის მოცულობა კუბ. მეტრ.	წმინდა აშენებლობის ღირებულება 1934 წ.	ტექნიკური მომზადების ხარისხ.	აგური			კირი	ალებასტრი	ცარცი		გიპსი საყალიბო	ფიბროლიტი	კამიშიტი	სოლომიტი	ტრეპელი		ფიბრორი გიპსოლიტური	შენიშვნა
					წითელი 1000 ც.	სილიკატ. 1000 ც.	ხელოვნური ქვა 1000 ც.	რაოდენობა ტონებში	რაოდენობა ტონებში	ფხვნილი რაოდენ. ტონებში	მსხვილი რაოდენობა ტონებში	რაოდენობა ტონებში	რაოდენობა კუბ. მეტრ.	რაოდენობა კუბ. მეტრ.	რაოდენობა კუბ. მეტრ.	ფხვნილი ტონებში	მსხვილი ტონებში	რაოდენობა კუბ. მეტრ.	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20
. . . .																			
ჯამი																			
იფარება საკუთარი წარმოებიდან																			
ითხოვება																			
1 კვ.																			
2 კვ.																			
3 კვ.																			
4 კვ.																			
სულ																			

საჭირო მასალების რაოდენობა უნდა გამოანგარიშებულ იქნას დამტკიცებულ საამშენებლო გეგმების საფუძველზე გადიდებულ საზომის ნორმების მიხედვით. უკეთუ განაცხადის შედგენის მომენტისათვის დამტკიცებული გეგმები არ მოიპოვება, მასალების რაოდენობა შეიტანება განაცხადში მომხმარებლის წინასწარი გეგმის მიხედვით, ხოლო ასეთ შემთხვევაში მომხმარებელი ვალდებულია ხელმეორეთ წარმოუდგინოს მარაგგასაღებას დაზუსტებული განაცხადი, როგორც კი მიიღებს აღმშენებლობის დამტკიცებულ გეგმას.

განაცხადი, რომელშიაც ნაჩვენები იქნება გაზვიადებული მოთხოვნილება გადიდებულ საზომებთან შედარებით, წარმოდგენილი უფორმოთ, ან 1 ნოემბრის შემდეგ, მხედველობაში არ მიიღება და საქმარაგგასაღება ასეთი ორგანიზაციების თავის შევსებითი განაცხადში შეუტანლობის შემთხვევაში არავითარ პასუხისმგებლობას არ გასწევს.

განაცხადი წარმოდგენილ უნდა იქნას ორ ცალათ შემდეგი მისამართით:
ტფილისი, სადგურის ქუჩა № 14, საქმარაგგასაღება.

ნ. 410 **საქმარაგგასაღება.**

ტფილისის საბჭოს საფინგანი

წინადადებას აძლევს წარმოება-დაწესებულებების და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს და მთავარ ბუღჰალტრებს, არა უგვიანეს 22 ოქტომბრისა წარუდგინონ სათანადო რაიფინგანებს ანგარიში, მუშა-მოსამსახურეთაგან და მათთან გათანასწორებულ პირთაგან გამოანგარიშებული საშემოსავლო გადასახადის, სექტემბრის თვის ხელფასიდან, ქვემოთ მოთავსებული ფორმით.

ფორმა № 31—რ.

№№ რიგ.	ჯგუფები თვიური ხელფასის მიხედვით		დაბეგრილ პირთა რიცხვი	გადასახადის ჯამი
	ა. რომლებიც არ იბეგრებიან . .	ხელფასი—75 მან-დე		
1		„ 75—100 მან-დე		
2		„ 100 მან-დე		
3		„ 100—125-დე		
4		„ 125—150-დე		
5		„ 150—200-დე		
6	ბ. რომლებიც იბეგრებიან	„ 200—250-დე		
7		„ 250—300-დე		
8		„ 300—400-დე		
9		„ 400—500-დე		
10		„ 500-ზე ზევით		
11		სულ „ბ“ განაყოფით		
12		მათ შორის შინა მრეწველები		

ხელმწერა მთ. ბუღჰალტრის

ანგარიშის დროზე წარმოუდგენლობისათვის ხელმძღვანელები და ბუღჰალტრები დაჯარიმებულ იქნებიან თანახმად საშემოსავლო გადასახადის დებულების 36 მუხლისა.

ნ. 419 **საფინგანი.**

სატრიკოტაჟო არტელ „ფემბი“-ს ლიკვიდაციის გამო

სახელმწიფო ორგანიზაციებს და კერძო პირებს, ვისაც რაიმე პრეტენზია აქვს არტელისადმი, ვალდებულია წარმოადგინოს ლიკვიდკომში (ზელინსკის ქ. № 43) ა.-წ. 1-ელ ნოემბრამდე, რის შემდეგ არავითარი პრეტენზია ლიკვიდკომის მიერ არ იქნება მიღებული.

1—1 **ლიკვიდკომი.**

ფერო მარგანეცის

საცდელ ქარხანას სჭირდება **დამხმარე მუშები** 50 კაცის რაოდენობით, რომელნიც ქარხანაში რამოდენიმე ხანს მუშაობის შემდეგ **მიიღებენ ელექტრო-მეტალურგიულ წარმოების შემდეგ კვალიფიკაციებს: მექურეების, მექურეების თანაშემწეების, ჩამყრელების და ს. ხ.** მუშები უზრუნველყოფილი იქნებიან მომარაგებით დახურული კოოპერატივიდან 1 კატეგორიის 1 სიით:
დანარჩენი პირობების გაგება შეიძლება თვით ქარხანაში (დიდუბეში, მაუდის ქარხნის პირდაპირ).

2—1 **დირექცია.**

მკერავტრესტის მეორე ფაბრიკას

(კომუნალური ქუჩა № 58)

ესაჭიროება მკერავი მუშა-ქალები.

პირობების გაგება შეიძლება ამავე ფაბრიკის კადრების სექტორის გამგესთან ამხ. **ჟიჟიანთან**, დილის 9 საათიდან საღამოს 5 საათამდე.

ნ. 408 **დირექცია.**

ექიმი
კ. ტ. ტყეშელაშვილი
განაახლა ავადმყოფების მიღება (ვენერიული და კანის).
დილით 8—9, საღამოთი 7—8 საათ.
ბელგიის ქ. № 1 (მთავარი ფოსტის ახლო).
1464

ექიმი ქალი
ნინო მირზაშვილი
დაბრუნდა და განაახლა მიღება **კანის და ვენერიული ავადმყ.** (სუსუნათი)
მხოლოდ ქალების და ბავშვების.
მიღება 5—7 ს. მოსკოვის ქ. № 9, ტელ. 4-95.
243

ტყიბულის რაიკანტორის თანამშრომლები: ბ. ფოფხაძე, ფ. ბურჯალიანი, შ. უკლება, ვ. ქეიშვილი, ს. ყორყოლაძე, ვ. ბოქორიშვილი, ო. გიორგობიანი, ვ. ობოლაძე, ჩ. იამანიძე, ვ. კორკასაძე, ვ. აბუევი, ო. ლომთაძე იუწყებიან ამავე კანტორის მმართველის ალ. ხვადაგიანის დედის **სალომე ხვადაგიანის** გარდაცვალებას 432

რაჟდენ ცირეკიძე, მოსე გვენეტაძე, დავით ყუფარაძე, ავდიდ ბაქრაძე. პოლიკარპე ქორჩილავა, მინა ბრეგვაძე, ოლია ბალახიშვილი, მიშა ალფაიძე, მელენტი ბეშკენაძე, დავით ქარქაშაძე იუწყებიან ნიკო ხვადაგიანის დედის **სალომეს** გარდაცვალებას 432

დამწუხრებული ბიძია ალექსანდრე. ბიცოლა ნადია შვილებით: შურა ნინა და ბოჩიკო გაბუნიები, სიძე გიორგი კალატოზიშვილი, შვილიშვილები: გუგული და გულნარა იუწყებიან ძვირფასი **ევგენია გაბუნია-თაყაიშვილის** გარდაცვალებას. 420

თამარა ქმრით სანდრო, შვილებით: ელიკო ოთარი, ნათელა ჩანადირები ღრმა მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, საყვარელი ბიძაშვილის **თამარა შავერდაშვილი-ლოვინოვის** უდროოდ გარდაცვალებას. 421

იულია მიხეილის-ასული ფალიაშვილისა ულრმეს მადლობას უცხადებს სახელმწიფო საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ნაცნობმეგობრებს და სხვებს, რომლებმაც გაიზიარეს მისი უსაზღვრო მწუხარება ძვირფასი ქმრის სახალხო არტისტის **ზაქარია პეტრეს ძე ფალიაშვილის** გარდაცვალების გამო 425

საბ. უნივერსიტეტის ისტორიულ-ლიტერატურულ ფაკულტეტის პედაგოგიური სექციის მე-4 კურსის სტუდენტობა დასტირის ამავე კურსის სტუდენტს, 18 ოქტ. მოულოდნელად დაკარგულს, ყველასათვის საყვარელ მეგობარს **ლიდა აფხაზავას** 424

ბურჭულაძე, ცინცაძე, გლურჯიძე, აბრამიშვილი, კეჭაყმაძე, გოცაძე, მანგოშვილი, სეხნიაშვილი, კუცია, მგალობლიშვილი, ექსეულიძე, ახობაძე ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ რაჟდენ კვანტალიანის მეუღლის **გუგულას** გარდაცვალების გამო. 391

გაუბედურებული მშობლები: ქითო და კრისტეფორე აუწყებენ საზოგადოებას საყვარელი შვილის **ზურაბ ქრისტეფორეს ძე ანდღულაძის** უდროოდ გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი ყოველდღე 7 ს. სადგურის ქ. № 2 გამო ვეხების დღე ცალკე გამოცხადდება. 417

დამწუხრებული ქმარი ვანო, დედამთილი ნინა, მამამთილი სერგო, მაზლები: გოგია, ლევვავა, ნიკო, მული თამარა, რძლები: ვერა, ქეთო, სონია, ლოვინოვები იუწყებიან **თამარა ლოვინოვის** გარდაცვალებას. გამოსვენება 20 ოქტ. 5 ს. მეორე თუმანოვის ქ. № 34. 421

ალიკო, კოსტა, დათიკო, ლიუდმილა, ლუსია, ოთარი ღრმა მწუხარებით იუწყებიან პირველის დაუვიწყარი მეუღლის; დანარჩენთა საყვარელი დედის **სალომე ბესარიონის ასული ხვადაგიანის** გარდაცვალებას. დაკრძალვა ტყიბულში 432

და ელისაბედი, დისწულები: ნინო გვეტაძე, ვერა გურგენიძე, თამარ ცქიტიშვილი, ძმისშვილები: სოფიო და ნატალია ალავიძეები, სიძეები: ვანო ცქიტიშვილი, რაჟდენ გვეტაძე იუწყებიან რომ გარდაიცვალა **ანასტასია დიმიტრის ასული ალავიძე** 418

გულმოკლული მშობლები: ლიზა დეკანოზიშვილი, პავლე ხვადაგაძე, დიდედა ანეტა, დეიდა დარო, სიძე გიორგი შვილებით ზარინაძეები, ბიძა ვასო ირემაშვილი ცოლშვილით იუწყებიან **პატარა ცისანას** გარდაცვალებას. გამოსვენება 21 ოქტ. 5 ს. შ. მღვიმელის ქ. № 7 ვერის სასაფლაოზე 4 0

გაუბედურებული მეუღლე პელაგია, ვაჟიშვილი გრიშა იოსელიანი ცოლშვილით: რუზანა და ლამარა, ქალიშვილი ლუბა იუწყებიან მათთვის საყვარელ **მალხაზი ივანეს-ძე იოსელიანის** გარდაცვალებას. დაკრძალვა სოფ. ნოსირში 22 ოქტ. 419

დამწუხრებული ქალიშვილები: ციცუ, პაშა, სიძეები: მიხა შენგელაია, პეპიკო ოდიშარია, შვილიშვილები: ეთერი, ვამეხა, ვალერია, ვაჟა, თინიკო და ზეიკო იუწყებიან ძვირფას **მალხაზ ივანეს-ძე იოსელიანის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 22 ოქტ. ს. ნოსირში. 419

მეუღლე გურგენ ვამაყაძე ოჯახის წევრებით: ნიკო, ივლიტე, კვირიკე, ქეთო, სონია, შურა, მიშა. ვაჟი იუწყებიან, რომ 22 ოქტ. ლიხაურში დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი დაუვიწყარ **ივლიტა (ტიტო) ურუშაძის** ხსოვნის აღსანიშნავად 431

ირაკლი და ქსენია ძითაიშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან თავისი საყვარელი დეიდაშვილის, საქ. სახ. უნივ. უკანასკნელი კურსის სტუდენტის **ლიდა აფხაზავას** უდროოდ დაკარგვას დასაფლავების დღე გამოცხადდება 428

საშა ვასილის ძე ფლეცხვერია ცოლი ბაბით და შვილებით ღრმა მწუხარებით იუწყება უახლოესი მეგობრის ძვირფასი ადამიანის **ნესტორ ილიას ძე ბაქრაძის** გარდაცვალებას. 430

დამწუხრებულნი მშობლები: ივანე, ანასტასი, ბებია ადათი, ბიძა ზოსიმე, ბიცოლა მაგლო. დები: ლიდა, საშურა, მეტია, თეოდორა, ნინა, ფატო კეშელავები, სიძეები ცოლშვილით იუწყებიან **ნატაშა ძნელაძის** გარდაცვალებას, დასაფლავება ს. ბურნათში 21 ოქტ. 429

ძმები: გარო, ახდრო, სერიოჟა, და აიკანუშ, მულაროვები იუწყებიან მათთვინ ძვირფას და საყვარელი ძმის **არმენაკის** უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა სურამში 415

მშობლები: ოლია და პავლე კვაჭანტირაძეები, თამარა და სიმონ ლილუაშვილები იუწყებიან, რომ კვირას, 22 ოქტ. ქუთაისში, საფირჩხიის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი **ვიქტორ პავლეს ძე კვაჭანტირაძის** ხსოვნის აღსანიშნავად. 416

ექიმი ალექსანდრე ერმილეს ძე თაყაიშვილი მწუხარებით იუწყება ძვირფას მეუღლის **ევგენია მიხეილის ასული თაყაიშვილის** გარდაცვალებას. დასაფლავება სოფ. ბანძაში 21 ოქტ. 418

შირაქის საბჭოთა მეურნეობის დირექცია ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს მეურნეობის პარტკომის მდივნის რაჟდენ კვანტალიანის მეუღლის **გუგულას** გარდაცვალების გამო 390

შირაქის მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობის ა.ლ.კ.კ. კომიტეტი ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს პარტიული კომიტეტის მდივნის ამხ. რაჟდენ კვანტალიანის მეუღლის **გუგულას** უდროოდ გარდაცვალების გამო 339

დისწულები: კოწია, დავითი, გრიგოლი, დიმიტრი გუნცაძეები, ანნა გოცირიძისა, და ეკატერინე გიორგობიანისა ოჯახებით იუწყებიან, რომ ქუთაისში 21 ოქტ. მოხდება **ანასტასია დიმიტრის ასული ალავიძის** დაკრძალვა, გამოსვენება ყაზბეგის ქ. № 24 418

მარიამი და ერმილე თაყაიშვილი შვილებით, და სიმონ თაყაიშვილი იუწყებიან დაუვიწყარ და საყვარელ რძლის **ევგენია მიხეილის ასული თაყაიშვილის** გარდაცვალებას დაკრძალვა ს. ბანძაში, შაბათს 21 ოქტ. 418

გულდამწვარი ბიძა ბესარიონი, დეიდა ვარდო, ბიძაშვილები: ევგენი, თამარა, ნიკოლოზ, ვანო და ქრისტეფორე კილაძეები დასტირიან თავიანთი საყვარელი და დაუვიწყარი **ლიდას** უდროოდ გარდაცვალებას 423

ექიმი მაკაროვი ოჯახით აუწყებს საზოგადოებას ძვირფასი დედის **ფოტინე სიმონის ასული მაკაროვის** გარდაცვალებას. დაკრძალვა ქუთაისში საფირჩხიის სასაფლაოზე 22 ოქტ. 422

გერმანელი ქალი
ვაძლევ გაკვეთილს გერმანულ ენაში
მისამართი: ველიამინოვის ქ. № 8, ბარათაშვილი. 3—1

ექიმი
დ. ლ. თევზაძე
განაახლა ავადმყოფების მიღება ყელის, ყურის და ცხვირის სნეულებანი, მოშლილობანი ხმის და მეტყველებისა ბრონხოეზოფაგოსკოპია.
მიღება ყოველ დღე საღ. 5—7 ს. კონქაძის ქუჩა (ყოფ. გუდოვიჩის) № 4 სოლოლაკი. ტელ. 5—94

ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული საშარდესასქესო ორგანოების, სიფილ. და კანის ავადმყოფ. დილ. 9—12 ს. საღ. 6—8 ს. ქალებისათვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპ.“ (ყ. „ნოე“-ს) პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახ. № 8. 10—1

სტამბა „კომუნისტი“. კამოს ქ. 68.
მთავლიტის რწმუნებული ა 1482